პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 123 პარასკევი 1 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000 მან. № 13

Коллекция [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

რურის ამბების გამო გერმანიის კომუნისტური პარტიის ცეკამ და საქარხნო საფაბრიკო კომიტეტებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიც აღნიშნავენ, რომ რურში მხოლოდ გაფიცვებია.

ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ და მუშათა მასებმა გადამჭრელი ნაბიჯები გადადგეს ინგლისის მთავრობის მიმართ რუსეთის საკითხის მოსაგვარებლად.

ინგლისის პრესა აღნიშნავს რუსეთის პასუხის [illegible] დალმობიერ ტონს.

მოკავშირეებმა წინადადება მისცეს საბერძნეთს იყოს მეტი დამთმობი ოსმალეთისადმი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო

„ბაქოს დახვრეტილ 26 კომისარის ოჯახების დამხმარე კომისია",

სადაც თავი მოეყრება აღნიშნულ ოჯახებისათვის ყოველგვარ დახმარებას. სწორი აღრიცხვისათვის სთხოვენ ყველას აცნობონ კომისიას თავისი მისამართი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომის მდივანი: **ტალიბლი.**

პარასკევს 1 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქართველოს კომპარტიის

ცეკას პლენუმის სხდომა

(რუსთაველის პრ. № 22).

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება **სავალდებულოა.**

საქართ. კომპარტიის ცეკას მდივანი: **მიხ. კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 1 ივნისს,

ერთიან პარტიულ დღეს

დასმული იქნეს დღის წესრიგში შემდეგი საკითხები: 1. მე-XII ყრილობის რეზოლიუციების განხილვა. 2. მრეწველობის და სოფლის საგადასახადო პოლიტიკის შესახებ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამსურათებელი მასალები.

საბჭოთა მთავრობის პასუხის შემდეგ

როგორც მკითხველებმა იციან, კერზონის ულტიმატუმი თვით ინგლისში მუშათა და ლიბერალურ წრეებმაც კი შეაფასეს როგორც პროვოკაციული გამოსვლა. ამ თავხედური და შეურაცხმყოფელ ნოტის მიზანს შეადგენდა გამოწვევა საბჭოთა მთავრობის, მისი წამოგება პროვოკაციულ ანკესზე.

თუ ამ „მაგარ" მემორანდუმს მოჰყვებოდა ასეთივე „მაგარი" პასუხი ჩვენი მთავრობის მხრივ, ეს ლონდონის კაბინეტს მისცემდა ერთგვარ მასალას აეტეხა ხმაურობა საბჭოთა რუსეთის მილიტარისტული და იმპერიალისტური ზრახვების შესახებ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ; ინგლისის სოციალურ ძალთა განწყობილების პირობებში, როცა მუშათა კლასი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ოპორტიუნიზმისაგან და ბურჟუაზიის ტყვეობიდან, ასეთი ნაბიჯი საბჭოთა ხელისუფლებისა ხელს შეუწყობდა ინგლისში ერთიანი ფრონტის შექმნას დღევანდელი კაბინეტის გარშემო და გაამაგრებდა ერთი მუჭა ავანტიურისტულ შაიკის პოზიციას.

მაგრამ ამ შემთხვევაში კერზონის დიპლომატიურმა ოინმა ვერ გასჭრა. საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ თვალსაჩინოდ დაუმტკიცა ყველას თავისი მშვიდობის მოყვარეობა, და ლონდონის რიხიან ულტიმატუმზე გასცა საქმიანი და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უდიდესი სურვილით აღსავსე პასუხი. ჩვენი მთავრობა წავიდა მრავალ არსებით დათმობაზე, ოღონდ აცილებულ იქნას საერთაშორისო მდგომარეობის გართულება.

ეს მშვენივრად გაიგეს ინგლისში როგორც მუშათა კლასმა, ისე საქმიან ბურჟუაზიულ ჯგუფებმა. ამას მოწმობს ის აუარებელი დემონსტრაციები, რომლებიც დღემდე იმართება იქ კერზონის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ. ინგლისის ფართე მასების ასეთი ოპოზიციონური განწყობილება თავის მთავრობისადმი უმთავრესად შეიქმნა რუსეთის საპასუხო ნოტების გავლენის ქვეშ. „რუსეთის პირველი პასუხის შემდეგ მუშათა მოძრაობა უფრო განვითარდა და მოედო მუშათა პარტიის ფართე მასებს. რუსეთის მეორე ნოტამ უფრო გააძლიერა ოპოზიცია", ვკითხულობთ ლონდონის რადიოში.

რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე ლიბერალებმა და კონსერვატიულ პარტიის მრეწველთა ჯგუფებმაც კი, რომელთაც ეშინიათ, რომ კავშირის გაწყვეტით დიდი ზიანი მოუვა მათ ეკონომიურ ინტერესებს.

ამგვარად, საბჭოთა მთავრობის პოზიციამ ინგლისის ულტიმატუმის მიმართ განაიარაღა ინგლისელი ცეცხლის წამკიდებელნი, შეარყია მათი ძალა ხალხის წინაშე, იზოლიაცია უყო მათ, ან მოახდინა ზოგიერთ ელემენტების ნეიტრალიზაცია.

ინგლისის მუშათა კლასისა და ფართე მოსახლეობისათვის აშკარა გახდა, თუ ვინ არის განხეთქილების მოსურნე—ლონდონის თუ მოსკოვის მთავრობა. იგი დარწმუნდა, რომ საბჭოთა მთავრობა ნამდვილად მოწყურებულია მშვიდობიანობას და ამისათვის კიდეც მიდის მაქსიმალურ დათმობებზე.

მართლაც, ჩვენმა მთავრობამ მოიმოქმედა ყველაფერი, რათა ინგლისის მთავრობის მიერ ხელოვნურად გამოწვეული კონფლიქტი მორიგებით დამთავრდეს. უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ლონდონს. 29 ამა მაისს ამხ. კრასინს ჰქონდა კერზონთან ხანგრძლივი მოლაპარაკება, რომლის შინაარსი არ არის გამოქვეყნებული. რუსეთის ნოტაზე ჯერ პასუხი არ გაუციათ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის საზოგადოებრივი ძალების უკვე საკმაოდ გამორკვეული განწყობილება იძულებულს გახდის ლონდონის კაბინეტს ანგარიში გაუწიოს ჩვენი მთავრობის დათმობებს და სამშვიდობო წინადადებას.

ხოლო თუ იგი კვლავ გამოიჩენს შეურიგებლობას, ყველას ეცოდინება, რომ ის იქნება ერთად ერთი პასუხისმგებელი მდგომარეობის გამწვავებისა და იმ უბედურებისათვის, რომელიც შეიძლება ამ შემთხვევაში თავზე დაატყდეს კაცობრიობას.

გლეხის სახლი

ქალაქი ყოველ მხრივად წინ უსწრებს სოფელს, ქალაქის განვითარება, წინსვლა გაცილებით უფრო ჩქარის ტემპით სწარმოებს, ვიდრე სოფლის. რევოლიუციონური მოძრაობის წყარო ქალაქია, ძველის დამხობაში და ახალის შექმნაში ქალაქის მუშათა კლასი ხელმძღვანელ როლს ასრულებს, მაგრამ ვერც ერთი მოძრაობა ვერ გაიმარჯვებს, თუ ის ქალაქის საზღვრებს არ გასცილდა, თუ მან ფართო გამოძახილი არ იპოვა სოფლის მრავალმილიონიან მცხოვრებლებში.

საბჭოთა ფედერაციაში სოფლის მცხოვრებლები დაახლოვებით მცხოვრებთა რაოდენობის ოთხ-მეხუთედს შეადგენენ და ცხადია, რომ საბოლოო გადამწყვეტი სიტყვა ამა თუ იმ საკითხში სოფელს ეკუთვნის. ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყო მრავალმილიონიან გლეხობის ქალაქის პროლეტარიატთან შეთანხმებულმა გამოსვლამ და სანამ მტკიცე იქნება კავშირი მუშათა და გლეხთა მასების, არავითარი ძალა საშიში არ არის საბჭოთა ხელისუფლებისთვის. კავშირის საბოლოო გამაგრებისთვის კი საჭიროა მტკიცე ურთიერთობის დამყარება ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებს შორის. ეკონომიური ინტერესების შეთანხმებასთან ერთად საჭიროა, რომ სოფელი იდეურადაც არ მოსწყდეს ქალაქს, სოფლის და ქალაქის გული ერთნაირად სცემდეს, რომ ქალაქისთვის სოფლის ტკივილები გასაგები იყოს. ქალაქი, რომელიც ცენტრია ქვეყნის მართვა-გამგეობის და ეკონომიური ცხოვრებისა, ერთი წუთითაც არ უნდა ივიწყებდეს სოფელს. ფაქტიურათ კი მანძილით დაშორების გამო, სოფლის მრავალი საჭიროებანი ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩება, სოფლის მდგომარეობას ცენტრი თავის დროზე რიგიანათ გაცნობილი არ არის. ამის გამო სოფელი დიდ გაჭირვებას განიცდის, რომლის მიზეზი ხშირად მხოლოდ უცოდინარობა; საუკუნეობრივ მონობაში ყოფილმა გლეხობამ არ იცის საიდან მოუაროს თავი გაჭირვებას, საიდან მიიღოს შესაფერი დარიგება, ახსნა-განმარტება, დახმარება. კულტურული ძალები, მცოდნე ხალხი, სოფლად ნაკლებათ მოიპოვება და უსწავლელ ხალხს უმეტეს შემთხვევაში თვითონ უხდება გზების გაკვლევა. წინ მიდის მეცნიერება, ტეხნიკა, გამოდის ახალი კანონები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობაში, გლეხი მოკლებულია საშუალებას მათ გაეცნოს.

ქალაქში არსებობენ დაწესებულებები, რომლებიც მოწოდებული არიან მშრომელ გლეხობის დასახმარებლათ, გლეხობამ კი თითქმის არაფერი არ იცის მათ შესახებ, მათთან მისვლაც კი ვერ მოუხერხებია.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა იყოს მონახული, გლეხობა უნდა გრძნობდეს ცენტრის მზრუნველობას, მისთვის ღია უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების და დაწესებულებების კარები. პერიფერია ცენტრს არ უნდა ჩამოსცილდეს. ამ მიზნით სხვა ზომებთან ერთად რუსეთის დიდ ქალაქებში არსებობენ „გლეხის სახლები", რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ გლეხობას და ყოველ მხრივ მზრუნველობას იჩენენ მასზე. ჩვენშიც დაისვა ეს საკითხი, მაგრამ საწუხაროთ დღემდე არ მოგვარებულა. ამ დღეებში ჩვენი ცნობით საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს თავს უდვია ამ სახლის მოწყობის ინიციატივა; მას უკვე მიუმართავს ქალაქის აღმასკომისთვის, რათა ამ უკანასკნელს დაეთმო გლეხთა სახლისთვის შენობა რუსთაველის პროსპექტზე. ეს საქმე იმდენათ საყურადღებოა, მიზანი იმდენათ სიმპატიური და თანადროულია, რომ მას აუცილებლად ყველამ ხელი უნდა შეუწყოს. ეჭვი არ არის, რომ ქალაქის აღმასკომი სიხარულით დაუთმობს შენობას საქმის ინიციატორებს და საზოგადოთ ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს მათ. „გლეხის სახლმა" მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს გლეხების და მუშების კავშირის განმტკიცებაში, მის რაციონალურ მოწყობა-ორგანიზაციისთვის არაფერი არ უნდა დაიშუროთ.

გ.

ამსტერდამის ინტერნაციონალი ტრანსპორტის მუშათა ფედერაციისა ომის წინააღმდეგ და რუსეთისათვის

თანამედროვე რუსეთი საშინელ სიძულვილს და მტრობას იწვევს მთელ კონსერვატიულ და რეაქციონურ სამყაროში, უფრო სწორად რომ ვთქვათ მთელი ქვეყნის გაბატონებულ კლასებში.

გაბატონებული კლასების იდეალს დღემდი შეადგენს ამ უდიდესი ქვეყნის ხელში ჩაგდება დასამონებლათ და კაპიტალისტური ექსპლოატაციის მიზნით. რუსეთში ახლა არსებული მართვა-გამგეობის წესის მოსპობა შეადგენს მებრძოლი პროლეტარიატის ყველა მტრების აშკარა ფარულ მიზანს.

ამიტომ, მთელი ქვეყნის მუშებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ეთანხმებიან რუსეთის პროლეტარიატს, სახელმძღვანელოდ რჩება ის, რაც ნათქვამი იყო საერთაშორისო მუშათა კავშირის მანიფესტში, რომელიც მოუწოდებდა მუშებს დახმა[illegible]ლებს:

„საბჭოთა მთავრობის დამხობა, ეს იქნება სიგნალი კონტრ-რევოლიუციისათვის მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსასვლელად". დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, დამარცხებულ სახელმწიფოებში, ყოველგან რეაქცია ძალებს იკრებს. ეს რეაქცია, რომელმაც გერმანიაში ყველაზე მეტად იჩინა თავი ბავარიაში, რეაქცია, რომელიც სისხლის ღვარში ახრჩობს მუშებს ისპანეთში და რუმინეთში, სამხრეთ-სლავეთში და უნგრეთში, გამარჯვების ზეიმს გადაიხდიდა, როგორც კი რუსეთის აშკარა თუ ფარული მტრები მოახერხებდენ რუსეთის მთავრობის დამხობას და მის ნაცვლად დასავლეთ ევროპის კაპიტალის და მასთან დაკავშირებული ბურჟუაზიული მთავრობების მფარველობის ქვეშ კონტრ-რევოლიუციონურ წყობილებას დაამყარებდენ.

მუშათა კლასმა არ უნდა დაუშვას ეს.

ამხანაგებო!

იყავით ფრთხილად!

უდიდესი ყურადღებით ადევნეთ თვალი და გაუწიეთ კანტროლი ყველა ქვეყნებში სამხედრო ძალების გადაჯგუფებას და იარაღის გადაგზავნას. მიიღეთ ზომები, რომ ეს კანტროლი იყოს მეტად ფხიზელი, რომ არ გამოგეპაროთ ჯარების შეგროვების ან გაგზავნის არც ერთი ფაქტი. იქონიეთ მჭიდრო კავშირი თქვენ რწმუნებულებთან, აცნობეთ მათ თქვენ მიერ შენიშნული ყოველგვარი ფაქტები.

მზად იყავით ყველაფერისთვის!

მზათ იყავით, ისე როგორც 1920 წ. უნგრეთის ბოიკოტის დროს და პოლონეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულ ომის დროს, ახლაც აიცილოთ ახალი ომის საფრთხე.

ომი ომს!

ძირს მილიტარიზმი!

ძირს რეაქცია!

ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს!

ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციის გენერალური საბჭო.

თავმჯდომარე: **რობერტ უილიამსი.**

მდივანი: **ედო ფიმმენი.**

ფარული ძალები

„იზვესტიას" წერილი.

მოსკოვი. 30 მაისი. ამხ. სტეკლოვი, „უწყებებში" მოთავსებულ წერილში „ფარული ძალები", სწერს: ისინი, ვინც მიზნათ ისახავდა რუსეთსა და ინგლის შორის განხეთქილების ჩამოგდებას ყველა მისი შედეგებით, ეხლა იძულებული არიან თავი დაანებონ ამ მიზანს. ინგლისის მუშების წინააღმდეგობამ განხეთქილების პოლიტიკის მიმართ, ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა.

ჩვენთვის სრულიად აშკარაა, რომ რუსეთთან განხეთქილების ჩამოგდებაზე კერზონს აქეზებდენ ინგლისის კაპიტალისტების განსაზღვრული ჯგუფები,—ეს ევრედ წოდებული „რუსეთის კრედიტორები", რომლენიც ჯერ კიდევ ვერ დაშორებიან იმ აზრს, რომ დაიბრუნონ ყოფილი ეკონომიური პრივილეგიები ჩვენს ქვეყანაში.

სანამ ამ ჯგუფებს დაუყოვნებლივი განხეთქილების ჩამოვარდნის შესაძლებლობის იმედი ჰქონდათ, ისინი კულისების უკან იყვენ ამოფარებული. ეხლა, როდესაც საქმე გადადებულია, როდესაც პროვოკატორების უშუალო მიზანი მიუხწეველია,—იმ კაპიტალისტების წარმომადგენლებს, რომლენიც კერზონს კულისებიდან აქეზებდენ მოქმედებისთვის, შესაძლებლად მიაჩნიათ ღია სცენაზე გამოსვლა. მათ შორის ყველაზე უფრო გამოჩენილმა ურხარდტმა ყველაზე უფრო მავრაზმულ ანტი-რუსულ გაზეთ „მორნინგ პოსტში" დაბეჭდა წერილი, რომელშიაც სცდილობს ხელი შეუშალოს შეთანხმებას და მოუფიქრებლად აცხადებს კერზონის ნოტით გამოწვეულ კონფლიქტის საიდუმლო მხარეებს. კერზონის ზურგის უკან სდგას ძლიერი კაპიტალისტური ჯგუფი, რომელსაც დიდი გავლენა და აურაცხელი სიმდიდრე აქვს.

„იმ შემთხვევაშიაც კი, თუ რუსეთი მიიღებს კერზონის ყველა მოთხოვნილებებს,—ამბობს ურხარდტი, მაშინაც კი საკითხი გადაწყვეტილი არ იქნება". კაპიტალისტების იმ ჯგუფის სახელით, რომლის წარმომადგენელიცაა ურხარდტი, ის აცხადებს, რომ ეს ჯგუფი იმ დრომდი არ შესწყვეტს აგიტაციის გაწევას, სანამ ის საბჭოთა მთავრობისაგან არ მიიღებს ყველა თავისი პრეტენზიების დაკმაყოფილებას. ურხარდტი მოქმედების ხაზს უკარნახებს კერზონს. „თუ განზრახულ კონფერენციას უნდა ნაყოფიერი იყოს, ამბობს ურხარდტი, მაშინ საბჭოთა მთავრობას უნდა მოეთხოვოს ფორმალური დამაკმაყოფილებელი განცხადების გაკეთება სესხებისა და ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეულ საკუთრების „კომპენსაციის გადახდის შესახებ". ამ რიგათ ბრიტანეთის კაპიტალისტების განსაზღვრული ჯგუფი თხოულობს საკუთრების დაბრუნებას თავისთვის, რომელიც იმან ოქტომბრის რევოლიუციის გამოისობით დაკარგა. იმ დრომდის, სანამ საბჭოთა რესპუბლიკა არ დააკმაყოფილებს ყველა მათ პრეტენზიებს, ისინი გვპირდებიან აწარმოონ რუსეთთან მუდმივი ეკონომიური ბრძოლა და სამხედრო-პოლიტიკური—ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში. მომავალ შეტაკებების კერა ისევ რჩება ძველებურად და ის ყოველი საშუალებით იქნება გაჩაღებული დაინტერესებული კაპიტალისტური ჯგუფების მიერ, როგორც ამაზე ისინი აშკარათ აცხადებენ. მაგრამ მათ განცხადებაში დადებითი მხარეც არის. ეხლა მუშათა ფართო მასები აშკარად დარწმუნდებიან იმაში, რომ კონფლიქტი რუსეთსა და ინგლის შორის ღვივდება ყველაზე უფრო ანგარების მოყვარულ კაპიტალისტურ ჯგუფების მიერ, რომლენიც თავისი გაუმაძღარი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობენ და რუსეთის ეკონომიურად დაჩაგვრას ისახავენ მიზნათ. ამან კი საბჭოთა რუსეთის ცნობის მომხრეებს უნდა გაუადვილოს ბრძოლა ამ საერთაშორისო მყვლეფელებთან, რომლენიც თავისი ჯიბის ინტერესებისათვის მზათ არიან სისხლის მორევში ჩააგდონ მთელი კაცობრიობა".

რადიო-დეპეშები

რურის ამბები

გერმანიის კომპარტიის მოწოდება

იბრძვიან მხოლოდ სამუშაო ხელფასის მომატებისათვის.

ბერლინი. 29 მაისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ რურის სამთო-მადნო მრეწველობის მუშათა მღელვარება გამოწვეულია მხოლოდ სამუშაო ხელფასის მომატებისათვის ბრძოლით.

მოწოდებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ რურში კომუნისტურ აჯანყებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

გერმანიის მთავრობა ცდილობს რურში სისხლის მღვრელ შეტაკებების გამოწვევას.

მოწოდება აღნიშნავს აგრეთვე, რომ გერმანიის მთავრობა ამზადებს კაპიტულიაციას საფრანგეთის მიმართ და მიტომ ცდილობს რურში სისხლის მღვრელ შეტაკებების გამოწვევას, რათა დაასაბუთოს კაპიტულიაცია ორ ფრონტზე ბრძოლის შეუძლებლობით. მოწოდებაში გამოთქმულია მუშური მთავრობის მოწყობის აუცილებლობა, რომელიც ან უზრუნველყოფს მშვიდობიანობას მისაღები ფასით, ან გაუწევს ნამდვილ წინააღმდეგობას საფრანგეთის იმპერიალიზმს.

გაფიცვა გადავიდა ესსენის ოლქში.

ბერლინი. 29 მაისი. გაფიცვა რურში გადავიდა აგრეთვე ესსენის ოლქშიც. რურში გაფიცულ მუშათა რიცხვი უდრის 375 000 კაცს.

წინანდებურად ანგარიშს არ უწევენ მუშებს.

ბერლინი. 29 მაისი. ბერლინში დაიწყო მოლაპარაკება პროფკავშირებსა და რურის სამთო მრეწველებს შორის შრომის ხელფასის 50 პროცენტით გადიდების შესახებ. მრეწველებმა უარყვეს მუშების მოთხოვნილებები.

სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილება

პარიზი. 26 მაისი. ბელგიის პარლამენტში სოციალ-დემოკრატებმა ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად მოითხოვეს ენერგიული ზომების მიღება გერმანიის ოკუპაცია ქმნილ ნაწილში ბელგიის ჯარზე თავდასხმის დამნაშავეთა წინააღმდეგ.

რუსეთი და ინგლისი

კერზონი კმაყოფილია ჩვენი ნოტით.

ბერლინი. 31 მაისი. კრასინთან შეხვედრის შემდეგ, კერზონმა კმაყოფილება გამოსთქვა რუსეთის ნოტის გამო.

ინგლისის კაპიტალისტები წინააღმდეგობას გასწევენ.

ბერლინი. 31 მაისი. ურხარდტის აზრით, რუსეთის ფასიან ქაღალდების ინგლისელი მეპატრონენი წინააღმდეგი იქნებიან ყოველგვარი შეთანხმების, რომელიც მათთვის არა[illegible] შეიცავს რუსეთის ვალების შესახებ.

უდიდესი მოთხოვნილება.

ლონდონი. 27 მაისი. გადმოგვცემენ, რომ კერზონი დაჟინებით მოითხოვს აღმოსავლეთში მყოფ საბჭოთა წარმომადგენლების გაწვევას, რომელთაც ის ბრალს სდებს პროპაგანდაში, „დეილი გერალდი" აღნიშნავს, რომ ამ მოთხოვნილების შესრულება გამოუძიებლად არ შეუძლია არც ერთ მთავრობას.

თუ კერზონი შესძლებს და დაარწმუნებს კოლეგებს, მდგომარეობა ძლიერ გამწვავდება.

„კერზონის მოთხოვნილება არ არის კადნიერებას მოკლებული".

ლონდონი. 28 მაისი. „დეილი ნიუზ"-ი, უკეთებს რა კომენტარიებს მოსკოვიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ კერზონმა მოსთხოვა კრასინს, რათა საბჭოთა მთავრობამ გაიწვიოს თავისი წარმომადგენლები ქაბულიდან და თეირანიდან, სწერს: **„მოთხოვნილება არ არის კადნიერებას მოკლებული.** რას იტყოდა კერზონი, რომ კრასინს მოეთხოვა რომელიმე ადგილიდან ინგლისის წარმომადგენლების გაწვევა. ბრიტანეთის მთავრობაში კიდევ არიან ისეთი პირები, რომლებიც სულელური ჯიუტობით განაგრძობენ რუსეთის ხალხის აბუჩად აგდებას".

ჯერ კიდევ „გაურკვევლობაში" არიან.

პარიზი. 28 მაისი. საფრანგეთის ფინანსიური და პოლიტიკური წრეები რყევაში არიან იმის გამო, თუ როგორი პოზიცია დაიჭირონ რუსეთის მიმართ. „ტანი" თხოულობს, რომ საფრანგეთმა მონაწილეობა მიიღოს ინგლის-რუსეთის მოლაპარაკებაში, რომლის მიზანია ინგლისის მონაწილეობის მიღება რუსეთის ეკონომიურად აღორძინების საქმეში.

ინგლისის პასუხს მშვიდობიანობის მოყვარულობის კილო ექნება.

ლონდონი. 30 მაისი. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისის პასუხში იქნება აღნიშნული საბჭოთა ნოტის შერიგებული კილო და არ იქნება ისეთი რამე, რომელიც შეუძლებელს გახდის მომავალი მოლაპარაკების გამართვას.

ფიქრობენ, რომ ბრიტანეთის მთავრობა საკითხს თევზის ჭერის შესახებ, ალბად მოხსნის, თუმცალა საბჭოთა მთავრობის დაპირება სამმილიანი ზონის დაცვის შესახებ დამაკმაყოფილებელია. ამის გამო კონფერენციას რუსეთსა და ინგლის შორის არ ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, ამ საკითხის ფართო საერთაშორისო მნიშვნელობის გამო.

ბრიტანეთის მთავრობა აგრეთვე უარს იტყვის საერთო კონფერენციაზე აღმოსავლეთში პროპაგანდის საკითხის შესახებ, რადგანაც მას არ სურს ჩაბმა დისკუსიაში, რომელიც შესაძლებელია გაზრდეს ამ საკითხის საზღვრებს.

ინგლისი საერთოდ კმაყოფილია რუსეთის პასუხით.

ლონდონი. 29 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალური აზრი რუსეთის პასუხის შესახებ ასეთია: საბჭოთა რუსეთის პასუხი დიდი ნაბიჯია წინ და საერთოდ დამაკმაყოფილებელია გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება პროპაგანდას. საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში ინგლისის მთავრობას არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად.

მადა აღეძრათ.

ლონდონი. 29 მაისი. საბჭოთა მთავრობის პასუხის შემდეგ იმის შესახებ, რომ ის თანახმა არის დააკმაყოფილოს დევისონ-გარდინგის პრეტენზიები, „ტაიმსში" გამოქვეყნდა „სამშობლოში დაბრუნებულ ბრიტანელ მოქალაქეთა დამხმარე კომიტეტის" თავმჯდომარის წერილი, რომელშიც ნათქვამია: კომიტეტს იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა სამართლიანად ჩათვლის დააკმაყოფილოს სხვა დაინტერესებულ პირების პრეტენზიები. ასეთ პირების რიცხვი, გაზეთის ცნობით, 2000-ს აღწევს.

ურკარტის წერილის გარშემო.

ლონდონი. 29 მაისი. ბრიტანელ მევალეების სახელით ურკარტმა ყველა გაზეთებს დაუგზავნა წერილი, რომელშიც ის აცხადებს, რომ რუსეთთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინასწარ პირობას უნდა შეადგენდეს საბჭოთა მთავრობის ფორმალური დეკლარაცია თავისი ვალების ცნობის და ყოფილ მესაკუთრეთაგან ჩამორთმეული ქონების ანაზღაურებაზე თანხმობის შესახებ. ამ რიგად ნათელი ხდება, რომ საბჭოთა მთავრობის დათმობით წაქეზებული კერძო პირები, არაფერს ზოგავენ მდგომარეობის გამოსაყენებლად. „მანჩესტერ გარდიანი" ფიქრობს, რომ ასეთი პრეტენზიების საკითხი უნდა გაირჩეს დაინტერესებულ მხარეების მოლაპარაკებით.

ინგლისის მუშების მოთხოვნილება

ქვანახშირის მეღაროები შეტევაზე გადავიდნენ.

ლონდონი. 28 მაისი. მაღაროს მუშათა დელეგატების კონფერენცია 30 მაისს განიხილავს ხელფასის თანდათან შემცირების შეჩერების საკითხს. ამ წინადადებას მიემხრო კავშირები სამხრეთ უელსისა, დერგემისა და შოტლანდიისა. გუშინ წარმოთქმულ სიტყვაში ხოდსონი ურჩევდა მუშებს ხელი აიღოთ საკითხის ასეთ დაყენებაზე, რადგანაც ხელფასის შესახებ შეთანხმების დარღვევა გაფიცვას უდრის. ხოდსონი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ მაღაროს მუშებმა ისარგებლონ საპარლამენტო მეტოდით და გადამწყვეტი ნაბიჯი მხოლოდ შესაფერ მომენტებში გადასდგან, თავისი ბელადების რჩევის მიხედვით. ძალიან საეჭვოა, გაიზიარებენ თუ არა მაღაროს მუშები ხოდსონის მოსაზრებას, რადგანაც საპარლამენტო მეთოდები მხოლოდ ხელფასის შემცირებამდე მიიყვანეს, მაშინ როდესაც ცხოვრება გაძვირდა. ნამდვილად კი საკითხი ისაა, თუ როდის და ვინ გადასწყვეტს შეტევაზე გადასვლის მომენტის მოახლოვებას.

ინგლისის მუშათა კლასი და საბჭოთა რუსეთი.

ინგლისის მუშები მოითხოვენ რუსეთის ცნობას.

ლონდონი. 29 მაისი. „დეილი ჰერალდში" მოთავსებულია მუშების რეზოლიუციების მთელი რიგი, რომლებიც მოითხოვენ რუსეთის ნოტის მიღებას და საბჭოთა მთავრობის სრულ ცნობას.

მუშათა პარტია მოითხოვს კონფერენციის მოწვევას სადაო საკითხების გასარჩევად.

ლონდონი. 29 მაისი. გაზეთების ცნობით მუშათა პარტია მოითხოვს რუსეთსა და ინგლისს შორის სადაო საკითხების გასარჩევად კონფერენციის მოწვევას. მუშათა პარტიის აზრით ამ კონფერენციაზე გარდა ინგლისის მთავრობის მიერ აღძრულ საკითხებისა, უნდა გაირჩეს აგრეთვე საბჭოთა მთავრობის კონტრ პრეტენზიები, კერძოდ კი ინტერვენციით დაზარალებულ რუს მოქალაქეთათვის ზარალის ანაზღაურების საკითხი.

ინგლისის კომპარტიის მანიფესტი.

ლონდონი. 29 მაისი. ბრიტანეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მანიფესტით მიმართა მუშებს. მანიფესტი მოუწოდებს მუშებს მოაწყონ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები და გაგზავნონ დელეგატები ადგილობრივ „მოქმედების საბჭოებში", რომელშიც უნდა შევიდნენ აგრეთვე ტრედიუნიონების წარმომადგენლებიც.

ინგლისის ახალი მთავრობა

უორტინგ ტონ-ევანსი—ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი.

ლონდონი. 29 მაისი. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად დაინიშნა ყოფ. სამხედრო მინისტრი ლოიდ-ჯორჯის კაბინეტში ღორტინგ ტონ ევანსი. ამ თანამდებობის მიღების დროს მან განაცხადა: „ვეცდები მივიღო ყოველგვარი ზომები პარტიის მთლიანობის დასაცავად.

ჩემბერლენი გადაჭრით უარს ამბობს

ლონდონი. 28 მაისი. გადმოგვცემენ, რომ ბალდვინმა ჩემბერლენს მისცა ინგლისის ელჩის თანამდებობა ვაშინგტონში, რაზედაც უკანასკნელმა უარი სთქვა. ჩემბერლენმა გამოაქვეყნა წერილი თავის ამომრჩევლების მიმართ, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ის პარიზიდან ჩამოვიდა ლონდონში, ფიქრობდა რა, რომ ბალდვინი ბოლოს მოუღებდა უთანხმოებას კონსერვატიული პარტიის ფრაქციებს შორის, მაგრამ ეს არ მოხდა და პრემიერმა მიმართა ჩემბერლენს მხოლოდ სამინისტროს შედგენის შემდეგ. ფიქრობენ, რომ ეს წერილი კიდევ უფრო გააორმაგებს უფსკრულს კონსერვატიული პარტიის რიგებში.

კომუნისტების დევნა

ავსტრია

კომუნისტებს ახრჩობენ.

ვენა. 29 მაისი. ავსტრიაში ამ უამად სწარმოებს კომუნისტების სისტემატიური დევნა. განსაკუთრებით კომუნისტური პრესის ჩახრჩობა. მთავრობის აშკარა ტენდენციის გამო ჩაახრჩოს ყოველი საშუალებით კომუნისტური მოძრაობა, კომპარტია მოუწოდებს მუშათა კლასს მხარი დაუჭიროს თავის კომუნისტურ ორგანიზაციას.

კომუნისტ-დეპუტატის დაპატიმრება.

ჰელსინგფორსი. 29 მაისი. ამ დღეებში დააპატიმრეს სეიმის კომუნისტი-დეპუტატი ბაინისი.

რურის ოლქის ოკუპაცია

ცეცხლითა და მახვილით.

ბერლინი 31 მაისი. რურის ოლქის მუშების გაფიცვა მცირდება. გაფიცულებმა მიაღწიეს სამუშაო ხელფასის მომატებას სურსათის ფასების მომატებასთან დაკავშირებით. რურის ოლქის ზოგიერთ ადგილებში ხდება მასიური დაპატიმრებანი. მუშებს ასობით აპატიმრებენ.

ბურჟუაზია ნდობას უცხადებს პუანკარეს.

ბერლინი. 31 მაისი. დეპუტატთა პალატამ 560 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 67-სა ნდობა გამოუცხადა პუანკარეს. ნდობის გამოცხადების გარშემო გამართულ კამათის დროს, პუანკარესა და კაბინეტის წინააღმდეგ ილაშქრებდენ რურის ოკუპაციიდან ეკონომიური შედეგების მიუღებლობისა და მაინცში სამხედრო გემების მოქმედების გამო.

დიუსელდორფში სიმშვიდეა.

პარიზი. 31 მაისი. დიუსელდორფიდან მიღებული ცნობებით, გუშინდელი დღე მშვიდობიანად ჩატარდა. ელექტრონის წარმოებათა მუშების გაფიცვა გრძელდება.

დიუსბურგში.

პარიზი. 31 მაისი. დიუსბურგში საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება.

შლაგეტერის დახვრეტის გამო.

ბერლინი. 31 მაისი. იტალიის პრესა აღშფოთებას გამოსთქვამს შლაგეტერის დახვრეტის გამო. „სეკოლო" ამ დახვრეტას უკანონოთ სთვლის, თუნდაც მიტომ, რომ პუანკარე თვითონ უწოდებს რურის ოკუპაციას „მშვიდობიანს". ნიუ-იორკის გაზეთები „ვორლდი" და „ნიუ-იორკ გერალდი" სასტიკ პროტესტს აცხადებენ დახვრეტის წინააღმდეგ.

სხვისი სამარის გამთხრელი თითონ ჩავარდება.

ბერლინი. 28 მაისი. ყველა ბანკები დემონსტრატიულად დაიხურა, ფრანგების მიერ რეიხსბანკიდან 9 ნახევარი მილიარდ მარკის გატანის გამო. საერთო აზრით ფრანგები გაფიცვისაკენ **აქეზებენ მუშებს, რომ უფრო მეტი არევ-დარევა შეიტანონ გერმანიის მრეწველობაში.**

აქაც თავისთვის ცდილობენ.

ბერლინი. 28 მაისი. გერმანიის მრეწველთა კავშირის მემორანდუმში სარეპარაციო გარანტიების შესახებ, აღნიშნულია, რომ უპირველესად უნდა ისარგებლონ სახელმწიფო დაწესებულებათა საბაჟო გადასახადებით, ხე-ტყით და რკინის გზებით. მრეწველები თანხმდებიან, რომ საგარანტიო თანხად მისცენ მხოლოდ 200 მილიონი მარკა ოქროთი, სამაგიეროთ თხოულობენ ეკონომიურ ძალდატანების მოხსნას, საგარეო ვაჭრობაზე მეთვალყურეობის გაუქმებას, საქარხნო კომიტეტთა უფლებების შეკვეცას, რვა საათის სამუშაო დღის პრინციპის „ფართოდ გაგებას". „ფორვერტს"-ი ამის თაობაზე სწერს: „მრეწველებისგან მოითხოვენ მსხვერპლის გაღებას, ისინი კი აქაც თავის ხელსაყრელ პირობებს უყენებენ".

ახლო აღმოსავლეთში

ჩესტერის კონცესიის გარშემო

ლონდონი 31 მაისი. დღეს ანგორის მთავრობამ ინსტრუქციები გადასცა ისმეტ-ფაშას ლოზანაში ამერიკისა და ოსმალეთის იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ჩესტერის კონცესიას ეხება. ისმეტ-ფაშას მინდობილი აქვს ჩესტერის კონცესიების საკითხი განიხილოს ამერიკის ახალ წარმომადგენელთან, რომელიც სპეციალურად ამ მოლაპარაკებისათვის მოდის.

ანგორის მთავრობა უკმაყოფილოა მოლაპარაკების მსვლელობით და აღნიშნავს, რომ წამოყენებული პირობები ამერიკისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ოსმალეთისათვის. პრესის ცნობით შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა თავს იდო მოლაპარაკების წარმოების ინიციატივა. მაგრამ, სენატორმა გრიუმ უარყო ეს და განაცხადა, რომ სანამ მოკავშირეები ოსმალეთთან არ დასდებენ საზავო ხელშეკრულებას, ამ მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელია. გრიუმ განაცხადა: „თუ თქვენ ზავს შეკრავთ საბერძნეთთან, მე მზათ ვიქნები ვაწარმოვო მოლაპარაკება".

თუმცა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს იმ ცნობებს, თითქოს მოლაპარაკება უკვე დაწყებულიყოს, მაგრამ ოსმალეთისა და ამერიკის დელეგაციებმა ლოზანაში ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები გამოაქვეყნეს ამ საქმის შესახებ.

შეთანხმება საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის

ბრიუ. 29 მაისი. მოკავშირეთა დელეგატების თათბირზე ისმეტ-ფაშას თანდასწრებით გამომუშავებული იქნა ოსმალეთისათვის დათმობილი ტერიტორიის სწორი საზღვრები. ორივე დაინტერესებული მხარე შეთანხმდა ამ საკითხში.

საბერძნეთი სავსებით მზად არის საომრად

ვენა. 26 მაისი. „უნივერსალ"-ის ცნობით, საბერძნეთის არმია სავსებით გამზადებულია საომრად. დასავლეთ-თრაკიაში ბერძნებს ჰყავთ არმია 250,000 კაცისაგან შემდგარი. მდინარე მარიცის გასწვრივ თავმოყრილია 15 ქვეითი დივიზია და სამი ცხენოსანთა ბრიგადა. ამ დღეებში

მოხდა საბერძნეთის ფლოტის საზღვაო მანევრები.

ინგლისის მთავრობა უნდა წასულიყო დათმობაზე

ლონდონი. 31 მაისი. ინგლისის კოლონიათა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს უკანასკნელ არჩევნებთან დაკავშირებულ სკანდალის შესახებ. პალესტინის მთავარ მოსახლეობათ, რომელსაც ქვეყნის გამგებლობის საკითხებში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს, ითვლება არაბები. არჩევნების ჩაშლის გამო მიმდინარე წელში „თორმეტთა უმაღლეს კომისიასთან" საბჭოს დაარსებამდე დანიშნული იქნება ახალი არჩევნები. საბჭოს ენიჭება საინფორმაციო და სათათბირო ფუნქციები. ის შესდგება ქალაქის წევრებისაგან, რომელთა რიცხვში შედიან 7 წარმომადგენელი, არაბთა მოსახლეობიდან, ერთი ბედუინთა წარმომადგენელი, ორი გლეხებისა და ორიც ებრაელების წარმომადგენლები.

მოკავშირეები დათმობაზე წავიდნენ.

ლონდონი 31 მაისი. დღეს მოკავშირეებმა დაუთმეს ოსმალეთს, ოსმალეთში საზღვარ-გარეთელი მოქალაქეების უფლებების საკითხში. კაპიტულაციის მაგივრად ოსმალეთის მთავრობას უფლება ეძლევა დაატუსაღოს მოკავშირე სახელმწიფოების მოქალაქეები და აგრეთვე გაჩხრიკოს მათი კანტორა და ბინები იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაარღვევენ ოსმალეთის კანონებს; სანამ რაიმე ნაბიჯები იქნებოდეს მიღებული მოკავშირე სახელმწიფოების მოქალაქეთა მიმართ, საჭიროა წინასწარი საქმე გადაეცეს სასამართლოს და გამოთხოვილ იქნეს ნებართვა ოსმალეთში მყოფ საზღვარ-გარეთელი მოსამართლეებისაგან. ამის გარანტია გარდამავალ დროისათვის წესდება 5 წლით, რის შემდეგაც ის გაუქმებული იქნება. ამ დათმობამ გაკვირვება გამოიწვია ამერიკის დელეგაციაში, რომელმაც მოლაპარაკება დაიწყო ოსმალეთთან ხელშეკრულების დასადებათ; ამერიკელებმა ვერ შესძლეს თავიანთ მოქალაქეებისათვის მეტი გარანტიების მიღება ოსმალეთიდან, ვიდრე ეს მოკავშირეებმა შესძლეს და ამერიკა—ოსმალეთის ხელშეკრულების დადების დროს მათ მოუხდებათ მოკავშირეებისა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულების ასლის გადაღება. მოკავშირეების მიერ ომის დროს ოსმალეთში დაკარგულ კონცესიების საკითხს ამ ჟამად იხილავს ანგორის მთავრობა და მოითხოვს, რომ ოსმალეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთ ღირებულება გადაეხადოთ ფრანკებით. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება საფრანგეთს; ოსმალოები იმუქრებიან კონფერენციის დატოვებით, თუ საფრანგეთი არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას.

ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტები ანგორაში.

ანგორა. 31 მაისი. ანგორაში ინგლის-საფრანგეთის ფირმების წარმომადგენლების ჩამოსვლა გრძელდება. ჩამოვიდნენ შემდეგი ფირმების წარმომადგენლები: ვიკერს, არმსტრონგ, უსტრუგ, ობსტერ და ნასიონალ ბანკ. ჩამოვიდნენ აგრეთვე სმირნიდან ინგლისის განმანათლებელი საზოგადოების წარმომადგენლები. მოლაპარაკება სწარმოებს სმირნის ნავთსადგურის აშენების შესახებ. ფრანგების მოთხოვნილება სმირნა კასსაბას რკინის გზის გაყვანის დროს სარკინის-გზო მასალების უბაჟოდ შემოტანის შესახებ, ოსმალების მიერ უარყოფილია.

ბულგარეთისათვის ზღვისკენ გზის გახსნა.

ბერლინი. 31 მაისი. ისმეტ-ფაშამ ექსპერტთა კომისიაში განაცხადა, რომ ოსმალეთი, იღებს რა თავის გამგებლობაში კარაგაჩს, ღებულობს თავის თავზე ვალდებულებას იგეის ზღვისაკენ გასავალი გზით უზრუნველყოს ბულგარეთი.

უხეირო საბჭოს დათხოვნა.

ბერლინი. 31 მაისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მთავრობამ პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნები უკანონოთ ჩასთვალა იმის გამო, რომ მასში არაბთა მოსახლეობის უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია.

ინგლისის ესკადრის გამოწვევა.

ბერლინი. 31 მაისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, ინგლისის ხელისუფლებას მალტაში ბრძანება აქვს გაგზავნილი სტამბოლიდან ინგლისის სამხედრო ესკადრის უკან გამოწვევის შესახებ იმ იმედით, რომ ხელშეკრულება ოსმალეთთან ხელმოწერილი იქნება.

გერმანია და ანტანტა

აზრთა სხვადასხვაობა

ბერლინი. 31 მაისი. საფრანგეთის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარიებს საფრანგეთ ბელგიის აზრთა სხვადასხვაობას სარეპარაციო საკითხში. „ეკო დე პარი"-ს აზრით, უთანხმოება საკმაოა ამ ორ მთავრობის შორის.

ბალდვინი უფრო აქტიურია, ვინემ ბონარ ლოუ

ბერლინი. 31 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ინგლისის ახალი პრემიერი ბალდვინი სარეპარაციო საკითხში გაატარებს უფრო აქტიურ პოლიტიკას, ვინემ ბონარ ლოუ. „ივნინგ სტანდარტ"-ის აზრით, ბალდვინი მოწადინებულია სასწრაფოდ გადასჭრას ეს საკითხი.

სავაჭრო პალატის კონფერენცია

ბერლინი. 21 მაისი. „ტაიმს"-ის ცნობით, ინგლისის სავაჭრო პალატების კავშირმა დასდო კონტაქტი ამერიკის, საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის სავაჭრო პალატების კავშირებთან იმისათვის, რათა მოწვეულ იქნეს აღნიშნულ სახელმწიფოების სავაჭრო პალატების კონფერენცია საკონტრიბუციო საკითხის გასარჩევად. კონფერენციის მოწვევა განზრახულია ლონდონში და თვითეულ სახელმწიფოდან დაესწრება 3 დელეგატი.

ინგლისის ახალი გეგმა

ბერლინი. 31 მაისი. „ივნინგ სტანდარტ"-ის ცნობით, ახლო მომავალში განზრახული აქვთ ინგლისის ახალი გეგმის გამოქვეყნება საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად.

პუანკარე ანახლებს ბელგიასთან მოლაპარაკებას

ბორდო. 29 მაისი. პუანკარემ თანხმობა განაცხადა ბრიუსელში გამგზავრების შესახებ მოლაპარაკების გასახლებლად, რომელიც ჟასპარის ავადმყოფობის გამო იყო გადადებული.

რუსეთი და დანია

ეწინააღმდეგებიან რუსეთთან ხელშეკრულების დადებას.

კოპენჰაგენი. 29 მაისი. გუშინ რუსეთის ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა მიერ მოწყობილ საპროტესტო მიტინგზე, სკავენიუსმა გაილაშქრა ხელშეკრულების წინააღმდეგ. მიტინგზე დამსწრე კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს და კომუნისტების ლიდერისათვის სიტყვის აკრძალვის გამო, შეეცადნენ ტრიბუნის დაჭერას. გაზეთები ფიქრობენ, რომ პრემიერ გეორგანდს სურს რიხსდაგისათვის გვერდის ავლა, რადგან რიხსდაგში ხელშეკრულების დამტკიცება უზრუნველყოფილია.

რიხსდაგი მოწვეული იქნება 7 ივნისს.

რუსეთი და სპარსეთი

თეირანის ვაჭრები ნიჟეგოროდის ბაზრობაზე.

თეირანი 29 მაისი. რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობის წევრთა და ვაჭართა წარმომადგენლების თანდასწრებით გაიმართა თეირანის ვაჭართა კავშირის სხდომა ნიჟეგოროდის ბაზრობის შესახებ სათათბიროდ. სპარსეთის ვაჭრები დიდის ყურადღებით ეკიდებიან სპარსეთ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობას და თავის წარმომადგენელსა გზავნიან ნიჟეგოროდის ბაზრობაზე ხელშეკრულების დასადებად და მიწების დასაქირავებლად.

პანაშვიდი ამხ. ვოროვსკის ხსოვნისა.

თეირანი 29 მაისი. მეჩეთში დიდძალი ხალხის თანდასწრებით პანაშვიდი გადაიხადეს ამხ. ვოროვსკის სულის მოსახსენებლად.

სხვადასხვა ამბები

ფინეთი.

პროფკავშირების ყრილობა წარმატებით დამთავრდა.

გელსინგფორსი. 29 მაისი. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ ეხლახან დამთავრებულ პროფორგანიზაციების ყრილობაზე ძირითადი საკითხები პროფკავშირების ინტერნაციონალის და პოლიტიკურ პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. მიღებულია ერთხმათ გაზეთების სიტყვებით, კომუნისტები დათმობაზე მიდიან ერთიანი ფრონტის განხორციელების მიზნით. „სოციალ-დემოკრატენ"-ის ცნობით, საერთო ფინეთის პროფორგანიზაციების ახალ გამგეობაში შევიდნენ: 24 კომუნისტი და 3 სოციალ-დემოკრატი.

რ. ს. ფ. ს. რ.—ს სრულ უფლებიანი წარმომადგენლის პროტესტი.

გელსინგფორსი. 29 მაისი. საბჭოთა რუსეთის სრულ-უფლებიანმა წარმომადგენლებმა პროტესტი განუცხადა ფინეთის მთავრობას იმის გამო, რომ ფინეთის საზღვარზე კარანტინი შემოღებულია მხოლოდ რუსეთის მოქალაქეების მიმართ.

ჩეხია.

მონარქიულ მოძრაობის საშიშროება.

პრაგა. 29 მაისი. „ჩეხის სიტყვა" აღნიშნავს რუსეთის ემიგრაციის მონარქიულ მოძრაობის საშიშროებას ჩეხო სლოვაკიისათვის იმ მჭიდრო კავშირის გამო, რომელიც რუსეთის ემიგრაციას აქვს გერმანიისა და უნგრეთის მონარქიზმთან.

რ. ს. ფ. ს. რ. სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში.

რიგა. 26 მაისი. დღეს რიგაში ჩამოვიდა ლატვიაში სრულ-უფლებიან წარმომადგენლად დანიშნული არალოვი, რომელსაც სადგურზე სრულ-უფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომლები შეხვდნენ.

ჩინეთი

აჯანყების საფრთხე

ჩიტა. 29 მაისი. უცხოეთის სახელმწიფოთა განზრახვამ ჩინეთის რკინის გზებზე კონტროლის დაწესების შესახებ დიდი მღელვარება გამოიწვია ხარბინის რკინისგზელთა შორის. შიშობენ, რომ ჩინეთის რკინისგზელთა საერთო აჯანყება არ დაიწყოს.

საფრანგეთი

პუანკარე ქანაობს

პარიზი. 28 მაისი. სენის დეპარტამენტის ათი ოლქის გარდა, მარტი არჩეულია აგრეთვე ჩრდილოეთ დეპარტამენტის ერთ ოლქშიაც. „პოპულერის" აზრით მარტის არჩევა ხალხის მასების მიერ, იმის შემდეგ, რაც სენატმა განცხადება გააკეთა კაშენის საქმის შესახებ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს პუანკარეს მიმართ.

მოწოდება კომუნისტური პრესის დაცვისაკენ

პარიზი. 28 მაისი. საფრანგეთის კომპარტიის ცეკა პროტესტს აცხადებს გაზ. „სევერნი პროლეტარი"-ს აკრძალვის წინააღმდეგ და მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს ენერგიულად დაიცვან კომუნისტური პრესა.

უნგრეთი

უნგრეთის კომუნისტების პროცესი

ვენა. 28 მაისი. ბუდაპეშტში დამთავრდა უნგრეთის კომუნისტების პროცესი. მთავარ ბრალდებულებს მიუსაჯეს 10—18 წლის კატორღა.

რუმინეთი

კატასტროფის წინაშე

ვენა. 28 მაისი. რუმინეთში მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. სესხის შესახებ მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების გამო სახელმწიფო სდგას ფინანსიური და ეკონომიური კატასტროფის წინაშე.

ფასები პროდუქტებზე მატულობს. უმუშევრობა ფართო ხასიათს ღებულობს. პარლამენტის ოპოზიცია განაგრძობს ენერგიულ კამპანიას მთავრობის წინააღმდეგ, ბრალს სდებს მას ტერორში, რომელიც გამეფდა ბესარაბიაში. ბესარაბიის დეპუტატმა აცნობა პარლამენტს, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ქალ. იზმაილში დასაჯა 36 ბოლშევიკი გაუსამართლებლად. ამ ცნობამ პარლამენტში დიდი აღშფოთება გამოიწვია. გლეხთა პარტიის თავმჯდომარემ განაცხადა პროტესტი და მოითხოვა ბესარაბიაში პარლამენტის გამომძიებელი კომისიის გაგზავნა. მინისტრმა აღუთქვა გამოძიების მოხდენა, რის შემდეგაც ოპოზიციამ დემონსტრატიულად დასტოვა სხდომა.

პარლამენტის სხდომაზე გლეხთა პარტიამ წარმოადგინა ახალი ბრალდებები ბესარაბიაში მომხდარი სამხედრო ტერორის შესახებ: 8 გლეხი, რომლებიც სამხედრო სასამართლოს გადაეცნენ იძულებითი რეკვიზიციის წინააღმდეგობისთვის, სასამართლოში მიყვანამდე დახვრიტეს.

ამერიკა

შეთანხმდნენ

ნიუ-იორკი. 28 მაისი. ანტანტა დაეთანხმა ამერიკის პირობებზე ამერიკისათვის რეინის საოკუპაციო არმიის შესანახად გაწეულ ხარჯების გადახდის შესახებ.

ავსტრია

კიდევ ერთი მსხვერპლი

ვენა. 26 მაისი. მოხდა ფაშისტების თავდასხმის მსხვერპლის—რკინის-გზელის დაკრძალვა. უკანასკნელი ეკუთვნოდა პროფკავშირების წითელ ოპოზიციას. დაკრძალვამ მიიღო ვენის პროლეტარიატის გრანდიოზული მანიფესტაციის ხასიათი, რომელსაც მეთაურობდნენ მუშათა თავდაცვის რაზმები.

ინგლისი

რის წინააღმდეგ აცხადებს იგი პროტესტს

ნიუ-იორკი. 28 მაისი ინგლისმა პროტესტი განაცხადა ამერიკის უმაღლეს სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გამო, რომლის ძალითაც ამერიკის ნაპირებზე მდგარ საზღვარ-გარეთის გემებს ეკრძალებათ იქონიონ მაგარი სასმელები.

წითელი საბჭოეთიდან

რუსეთი

საქონლის გაიაფება.

მოსკოვი. 30 მაისი. საქარხნო ნაწარმოებთა გასაიაფებლად შრომისა და თავდაცვის განყოფილებასთან ამხ. სვიდერსკის თავმჯდომარეობით დაარსდა კომისია წარმოებაში ზედმეტი ხარჯების ასაცილებლად. კომისია მუშაობამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნედლი მასალის დამზადება ქარხნებს გაცილებით ნაკლებ უჯდებათ, ვიდრე ომის წინანდელ დროს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით კი ეს ფასეული დიდათ აჭარბებს იმის წინანდელ ფასებს. ამისათვის განზრახულია გამარტივდეს ნედლი მასალის დამზადებელი აპარატი და აგრეთვე შემცირდეს ხარჯები სოციალურ დაზღვევისა, შეფობისა და კულტურა-განათლებაზე გაღებული პროცენტიული გადარიცხვანი. მაგალითად დაუქმებულ წარმოებისათვის თანხის გადადება უნდა შედიოდეს სახელმწიფო ხარჯ აღრიცხვაში. კალკულიაციის ზედმიწევნით გამოსაკვლევათ კომისიამ შეიმუშავა ფორმები უწყებულ წარმოების ერთეულისათვის აუცილებლად საჭირო სათბობისა, ნედლი მასალისა და მუშა ხელისა.

საბავშვო კვირეული.

მოსკოვი 30 მაისი. ეწყობა საერთაშორისო საბავშვო კვირეული, პროლეტარიატის ბავშვების გასაერთიანებლად. ამასთანავე ამ კვირეულის საშუალებით ფართე მასები გაეცნობიან კომუნისტურ ბავშვთა მოძრაობას.

წერილები პოლონეთში.

მოსკოვი. 30 მაისი. 1 ივნისიდან მიიღება შეკვეთილი წერილები პოლონეთში გასაგზავნად თითო წერილის გადაცემა ღირს 1 ფრანკი.

სრულიად რუსეთის გამოფენა.

მოსკოვი. 30 მაისი. მოსკოვში უკვე მოდის ნიმუშები სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. მოსალოდნელია 42,000 საგნის მიღება. ამათგან—2 ათასი ცოცხალი ნიმუში, 1500 ექსპონატი 25,000 სულადი, 15000 მოდელი და გრაფიული.

მუშების გამარჯვება.

ცარიცინი. 2„ მაისი. კერძო სასტუმროს გაფიცულმა მუშებმა გაიმარჯვეს. კოლექტიური ხელშეკრულება დაიდო.

ამხ. ლუნაჩარსკი ციმბირში.

ომსკი. 29 მაისი. მოსკოვისაკენ დაბრუნების დროს, ამხ. ლუნაჩარსკი 3 დღით გაჩერდა ომსკში და ერთი მოხსენება გააკეთა კრებაზე ამხ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა, რომ ციმბირს დიდი გამოცოცხლება ეტყობა განათლების საქმეში.

ბანკი.

ვოლოგდა. 29 მაისი. ვოლოგდაში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომლის ძირითადი თანხაც უდრის 1 მილიონ მანეთს ოქროთი. აქციებზე წარმატებით მიდის ხელმოწერა.

ელექტროფიკაცია.

კოსტრომა. 29 მაისი. 10 ივნისს მდ. შუნგზე მოქმედებას დაიწყებს ელექტრონის სადგური. ეს სადგური მოემსახურება 40-ზე მეტს სოფელს. სადგურის საზეიმო გახსნაზე მოელიან ამხ. კალინინსა და იაკოვენკოს.

ბერდიანსკი. 29 მაისი. საბავშვო ქალაქ „ბელიე ბერეგა"-ში გაიმართა ელექტრო სადგური.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის დებულება.

მოსკოვი. 30 მაისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალი დებულებისა და მისი მეთოდების განსახილველად სახალხო კომისართა საბჭომ შექმნა განსაკუთრებული თათბირი, რომლის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. კუიბიშევი და საერთო მეთვალყურეთ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ციურუპა.

პურის სესხი.

მოსკოვი. 30 მაისი. პურის სესხის სოფლად უკეთ შენახვისათვის, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეთანხმება დასდო სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკთან, რომლის სახითაც კოოპერატიული ორგანიზაციები კონტრაგენტის მოვალეობას ასრულებენ თავის თავზე სესხის გასავრცელებლად.

რუსეთის ქარხნებს.

მოსკოვი. 30 მაისი. სახ. კომისართა საბჭომ უარყო ის ხელშეკრულებები, რომელიც საზღვარგარეთ იყო დადებული ორთქმავლების ნაწილების დამზადებისათვის და აიძულა გზათა სახალხო კომისარიატი შეკვეთები მისცეს რუსეთის ქარხნებს.

კონცესიები.

მოსკოვი. 31 მაისი. კონცესიების მთავარ კომიტეტის ცნობებით სახალხო კომისართა საბჭოს აქამდი საზღვარგარეთელ ფირმებთან დადებული 29 საკონცესიო ხელშეკრულება დაუმტკიცებია.

უკრაინა.

საჰაერო მიმოსვლა ოდესა-სტამბოლი

მოსკოვი. 30 მაისი. უკრაინა ზომებს იღებს ოდესა და სტამბოლს შორის საჰაერო მიმოსვლის გახსნისათვის. მთელი გზა გადაფრენილი იქნება 5 საათსა და 20 წ. ვარნეში 20 წუთით შესვენებით.

საზღვარგარეთელი ფირმები

ხარკოვი. 29 მაისი. სრულიად უკრაინის ცაკის დადგენილებით, საზღვარგარეთელ ფირმებს ნება ეძლევათ გახსნან უკრაინაში კანტორები მხოლოდ ეკონომიურ თათბირთან არსებულ საკონცესიო კომიტეტის თანხმობით.

კომინტერნში

ბალკანეთის კონფედერაციის კონფერენცია.

ვენა. 29 მაისი. ბოლგარეთის კომპარტიის ყრილობის მოწვევის მოახლოვების გამო, რომელიც უნდა მოხდეს ივნისის ბოლო რიცხვებში, ბალკანეთის კონფერენციის აღმასკომი იწვევს კონფედერაციის მეექვსე კონფერენციას. დღის წესრიგშია ბრძოლა რეაქციის და ბალკანეთზე ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ავსტრიის კომპარტიის მოწოდება.

ვენა. 29 მაისი. ავსტრიის კომპარტიის პრეზიდიუმმა მიმართა მოწოდებით სოციალ-დემოკრატებს და ავსტრიის პროფკავშირებს, რათა დაარსონ მოქმედების გაერთიანებული კომიტეტი ფაშიზმის და ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პროფინტერნში

რკინის გზელების ხმა

პარიზი. 28 მაისი. ჩრდილოეთ საფრანგეთის რკინის გზელების კონგრესმა ერთხმად დაამტკიცა პროფინტერნთან შეერთება. სემარმ, რომელსაც დამსწრეები მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ, მოითხოვა მთლიანი ფრონტის შექმნა, ნაციონალური კონგრესის არა ჩვეულებრივი მოწვევა და პროფკავშირული მთლიანობის აღდგენა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან
არსებული სალიკვიდაციო კომისიის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ფასიან
ოქრო-ვერცხლის ნივთებისა,
ძვირფას ქვებისა
— და აგრეთვე —
სხვა და სხვა საქონლისა,
სახლის ავეჯეულობისა
ნახმარ ტანისამოსისა და საცვლებისა.

ნივთების და საქონლის გასინჯვა და გაყიდვა იწარმოებს ვაჭრობისათვის დანიშნულ დღეს კომისარიატის შენობის ეზოში (ყოფილი კადეტთა კორპუსი) ა. წ. 3 ივნისს დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე.
430 2—2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროში.

აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება რუსეთის პროფკავშირთა დელეგაციის, რომელიც გერმანიაში გაგზავნილი იყო იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღო რუსეთის პროფკავშირების მიერ გერმანიის მუშებისათვის გაგზავნილი პურის დანაწილებაში.

მოხსენებით გამგზავრების შესახებ გამოდის დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. კოზიოლევი, რომელიც პირველ ყოვლისა აღნიშნავს იმ უსაზღვრო კმაყოფილებას, რომლითაც შეხვდნენ ბერლინის მუშები და პროფესიონალური ორგანიზაციები რუსეთის დელეგაციას. რუსეთის დელეგაცია მეორე დღესვე ჩასვლის შემდეგ გამოდიოდა მუშათა გრანდიოზულ მიტინგებზე და ყველგან მას ხვდებოდნენ დიდი აღფრთოვანებით. ფაბრიკა—ქარხნების კომიტეტების ცენტრალურ საბჭოს წევრთა თანხლებით დელეგაცია ეწვია ბერლინის მუშათა რაიონებს. ბერლინის მუშების უმრავლესობა, ამბობს ამხ. კოზიოლევი, აუტანელ პირობებში ცხოვრობს.

დელეგაციამ ვერ შესძლო ბერლინის უდიდეს ქარხნების დათვალიერება, რაც მას განზრახული ჰქონდა. ბერლინის ელექტრო-ტეხნიკური მოწყობილობის უდიდესი ქარხნის სამმართველომ არ მისცა ქარხნის დათვალიერების ნება დელეგაციას. ეს უარის თქმა ქარხნის დათვალიერების ნებართვის მიცემაზე დაადასტურა ბერლინის მელითონეთა რეფორმისტულმა კავშირმა, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ქარხნის მუშებს შორის.

ბრემენში რუსეთის დელეგაცია გამოვიდა მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელზედაც მუშებმა გამოიჩინეს ისეთივე რევოლიუციონური ენტუზიაზმი, როგორითაც დელეგაციას ეგებებოდნენ ბერლინში. ბრემენის ელექტრონის სადგურის მუშებმა გადასცეს დელეგაციას მიმართვა, რომელშიაც გამოხატავდნენ აღტაცებას რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლით და მადლობას გერმანიის მუშებისათვის ძმური დახმარების გაწევის გამო. ბრემენში მუშები აშკარად გამოდიოდნენ რეფორმისტული კავშირების ბელადების წინააღმდეგ.

ასეთივე აღფრთოვანებით ჩატარდა მიტინგები და მუშათა დემონსტრაციები ესენში, ბოხუმში, დიუსბურგში, აახენში და რურის ოლქის სხვა ადგილებში.

რუსეთის პურმა არა თუ დიდი სარგებლობა მოუტანა გერმანიის პროლეტარიატს, მისცა რა 2 მილიონამდე უმუშევარს ოჯახების პატრონ მუშებს ორი კვირის განმავლობაში თავის შენახვის საშუალება, არამედ აგრეთვე ამან კოლოსალური როლი ითამაშა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ავტორიტეტის ამაღლებაში. პურს ანაწილებდნენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საკონტროლო კომისიები, რომლებმაც შესძლეს პურის განაწილების გარშემო გაეწიათ დიდი პოლიტიკური კამპანია. ქალაქის მაგისტრატები ხშირად უარს ეუბნებოდნენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს შენობების მიცემაზე პურის და ფქვილის შესანახად. ასეთ შემთხვევებში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები მართავდნენ მუშების კრებებს, რომლებზედაც ააშკარავებდნენ „ქალაქის მამების" მუშებისადმი დამოკიდებულების ნამდვილ შინაარსს.

ბურჟუაზიული პრესა სდუმდა რუსეთის პურის დანაწილების გარშემო გაწეული კამპანიის შესახებ.

ასეთსავე პოლიტიკას ადგა, უმეტეს შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატიული პრესაც.

გერმანიის ფაშისტები მოუწოდებდნენ მუშებს არ მიეღოთ პური, ვინაიდან ამბობდნენ ისინი, რუსეთის მუშები თვითვე დამშეული არიან, მაგრამ, სწორედ ამან მოახდინა კოლოსალური შთაბეჭდილება გერმანელ მუშებზე და გააძლიერა მადლობის გრძნობა რუსეთის პროლეტარიატისადმი. გერმანიის მუშების განწყობილების დახასიათების დროს ამხ. კოზიოლევს მოჰყავს შემდეგი საგულისხმო ფაქტები.

პატარა ქალაქში—კოტბუსში (აღმოსავლეთ-პრუსია), რომელშიაც ადგილობრივ ორგანიზაციაში ითვლებოდა 75 კომუნისტი, მოეწყო დელეგაციის მონაწილეობით მიტინგი. ამ ქალაქის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ წინადადება მისცა ადგილობრივ მუშებს არ მიეღოთ მონაწილეობა მიტინგზე და დანიშნა ამავე დროისათვის თავისი კრება და დასვა დღის წესრიგში საკითხში ფაშიზმთან და ბოლშევიზმთან ბრძოლის შესახებ. მიუხედავად ამისა, მიტინგზე, რომელზედაც გამოდიოდა რუსეთის დელეგაცია, მონაწილეობას ღებულობდა 4 ნახ. ათასამდე მუშა.

დელეგაციის მეორე წევრმა ამხ. ჩირიკოვმა ილაპარაკა შვერინში გამართულ მიტინგის შესახებ, რომელზედაც 2,000 დამსწრესაგან იყო არა უმეტესი ოცდაათი კომუნისტისა. მიუხედავად ამისა რუსეთის დელეგატის გამოსვლამ რევოლიუციონური აღტაცება გამოიწვია დამსწრეებს შორის. მიტინგის შემდეგ რამოდენიმე მუშამ სურვილი განაცხადა დაუყოვნებლივ შევიდეს კომუნისტური პარტიის რიგებში.

ყველა კრებებზე და მიტინგებზე, რომლებზედაც მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის დელეგატები, გამოჰქონდათ კომუნისტური ხასიათის რეზოლიუციები, რომელთაც ერთხმად ღებულობდნენ.

დელეგაციის უპარტიო წევრმა ამხ. გუსკოვმა აღნიშნა, რომ მიტინგებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ მრავალი სოციალ-დემოკრატები, უკანასკნელებმა ერთხმად ვერ გაბედეს გამოსვლა. თუ როგორ უცქერიან მუშები ფაშისტებს, ამას მოწმობს ბოხუმში გამართულ მიტინგზე მომხდარი ინციდენტი: ერთი ფაშისტი, რომელსაც უნდოდა დებოშის მოხდენა, მუშებმა გამოათრიეს დარბაზიდან და მიაკრეს ფანჯარასთან მიტინგის დამთავრებამდე.

მუშათა კლასის ძალები შეერთებულ შტატებში

თუ მხედველობაში მივიღებთ შეერთებულ შტატებში მომქმედ პოლიტიკურ ძალების, მაშინ მუშათა კლასი ვერ ჩაითვლება დიდ პოლიტიკურ ერთეულად. ეს აიხსნება იმით, რომ ამერიკის მუშათა კლასი არ წარმოადგენს მტკიცედ შეკავშირებულ და ორგანიზაციულად დარაზმულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალას. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ მუშათა კლასი არ სარგებლობს არავითარი გავლენით. პირიქით, მრეწველობის ზოგიერთ დარგებში ის ისეთ ფაქტორს წარმოადგენს, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევენ. მაგრამ ამერიკის მუშათა კლასი მოკლებულია კლასობრივ შეგნებას, ის ადვილათ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, ამერიკაში უნდა შეიქმნეს როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური მუშათა მოძრაობა.

ყველაზე ნათლათ სჩანს ეს იმ მოუფიქრებლობაში, როგორითაც მუშათა კლასი არჩევნების დღეს ხმას აძლევს ამა თუ იმ კანდიდატს; მართალია არჩევნების მეორე დღეს, გაზეთების გადათვალიერების დროს მას გულწრფელათ ახარებს თუ გაიმარჯვა „მისმა" პარტიამ, ან აღშფოთებულია თუ გაიმარჯვა „მოწინააღმდეგემ", მაგრამ ამით თავდება ყველაფერი და არჩევნები მას გაახსენდება მხოლოდ მაშინ, როცა მოახლოვდება ახალი და მას მოაგონებენ, რომ უნდა მისცეს ხმა. 1916 წ. ამერიკის მუშების დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა ვილსონს, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს „კარგი კაცი" ამერიკას არ მისცემს ნებას ჩაერიოს ევროპის ომში, ვილსონი ისე გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ ამერიკის მუშებმა დაუჯერეს მას. მაგრამ ორი—სამი თვის შემდეგ ეს „კარგი" პრეზიდენტი ალაპარაკდა ომის აუცილებლობის შესახებ.

თითოეული რევოლიუციონერი მიხვდებოდა თუ რით არის გამოწვეული ასეთი ცვლილება. ის მიხვდებოდა, რომ კაპიტალი დიდის სიამოვნებით სარგებლობს „ანტიმილიტარისტების" დახმარებით, რომ ქვეყანა ჯვაროსნულ ომში ჩააბას. მაგრამ მუშებმა ვერ შეამჩნიეს ეს. ისინი დაუფიქრებლად, ადვილათ წამოეგნენ იმ პროპაგანდის ანკესზე, რომელიც ფართედ სწარმოებდა პრესაში ანტანტისა და მათი მეგობრების სასარგებლოდ.

ამ რიგად, ამერიკის მუშათა კლასი, რომელიც ომის წინააღმდეგი იყო, ჩაითრიეს ამ ომში. ის მზად იყო გაეღო უდიდესი მსხვერპლი. ის მზად იყო დედამიწის პირიდან აღეგვა თითოეული, ვისაც კი ნათელი გონება და აზროვნება შერჩა. როცა ომი დამთავრდა, ის კვლავ მზად იყო ემუშავა უფრო ენერგიულად ვიდრე ოდესმე დარღვეული ეკონომიური წონასწორობის აღსადგენათ.

როცა 1919 წელს პროტესტის ნიშნად შრომის საშინელი პირობების გამო გაფიცენ ფოლადის წარმოების მუშები და როცა რკინისგზელებიც ასეთივე გაფიცვით იმუქრებოდა, პრეზიდენტმა ვილსონმა ლაპარაკიც არ დააცალა მუშებს და მათ წინააღმდეგ გაგზავნა ჯარები თავისი მეგობარი გენერალი ლეონარდ ვუდის მეთაურობით, რათა მუშებს მომავალში მეტი კრძალვა და პატივისცემა ქონდათ კაპიტალიზმისადმი. და მუშები ნაწილობრივ. ამის გამო და უფრო მეტად იმიტომ, რომ ვილსონმა ომში ჩააბა ამერიკა, ჩამოშორდნენ მას და აედევნენ გარდინგის მხარეზე. გარდინგმა, რასაკვირველია, აღუთქვა მათ ევროპის საქმეებში არ ჩარევა, მაგრამ მას არაფერი ქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ რვა მილიონი უმუშევარი, ქალი და კაცი, ღვთის ანაბარათ დარჩენილიყო, და ვინაიდან მან განაცხადა, რომ ვერ დასთანხმდება უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ვერც ერთ პროექტზე, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს არღვევს, ამავე დროს კი მან რკინის გზის კაროლებს 500 მილიონი დოლარი სუბსიდია მისცა, მან გაგზავნა ჯარები მინგოს (დასავლეთ ვირგინია) რაიონში. 1922 წელს მან კვლავ გაგზავნა ჯარები სამთომადნო წარმოების, საფეიქრო წარმოების და რკინისგზელ მუშების წინააღმდეგ.

1922 წელს ამერიკის მუშებმა მხარი დაუჭირეს სოფლის მეურნეებს, რომელთაც საკმაო საბუთი ქონდათ, რომ შავი კენჭი მიეცათ რესპუბლიკანური პარტიის კანდიდატისათვის, რომლის ლიდერია გარდინგი, და არჩევნების მეორე დღეს, ამერიკული მუშა დამშვიდებით შეუდგა თავის ჩვეულებრივ მუშაობას, დარწმუნებული იმაში, რომ შეასრულა თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე და ხელი შეუწყო სახელმწიფოს გადარჩენას.

ყველაფერი ეს ამტკიცებს ამერიკის მუშათა კლასის ჩამორჩენილობას. ეს ჩამორჩენილობა გამოწვეულია ორი მიზეზით: ამერიკის მუშათა კავშირების ლიდერების რეაქციონერობით და ამერიკის სოციალისტური პარტიის ბელადების მოღალატური მოღვაწეობით, ფიქრობდნენ, რომ ამერიკის მუშათა მოძრაობა ყველაზე უფრო რევოლიუციონურია მთელ მსოფლიოში. ობიექტიურ პირობებს, კაპიტალიზმის განვითარებას, კაპიტალის კონცენტრაციას, ტერორისტულ მეთოდებს, რომელსაც მიმართავდნენ მქონებელი კლასები, ყველა ამას უნდა შეექმნა რევოლიუციონური მუშათა კლასი, რომელსაც ევროპის პროლეტარიატთან ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა ებრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ გამოვიდა სულ სხვა: ამერიკელი მუშები სულ გარიყული დარჩნენ ევროპის მუშათა მოძრაობისაგან. ამერიკის მუშათა კლასის კავშირის პრეზიდენტის სამუელ გომპერსის პოლიტიკური თეზისი ლაღადებს, რომ ყოველი მუშა ისეთივე მოქალაქეა, როგორიც სხვა. ამერიკელმა მუშამ არ უნდა დაამციროს თავისი ღირსება რომელიმე პარტიის მოწყობით. პოლიტიკაში ის მუშა კი არ არის, არამედ მოქალაქე იმავე უფლებებით აღჭურვილი, როგორითაც როკფელერი.

გომპერსის მეთოდი მდგომარეობდა იმაში, რომ აერჩია ისეთი პარტია და ისეთი კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტს პირდებოდა მუშათა კლასს და გაეყვანა ეს კანდიდატი პროფკავშირების აპარატის დახმარებით.

1906 წ. გომპერსმა მოახერხა, რომ პროფკავშირებს მიეღო მისი ნეიტრალობის და უპარტიობის პოლიტიკა. მაგრამ გომპერსი მაინც ვერ დაიტრაბახებს გამარჯვებით. პროფკავშირების კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გომპერსი იძულებული გახდა ეთქვა, რომ კონგრესი მეტად ცოტას ფიქრობს მუშების ინტერესებზე. 1920—21 წ. წ. მან კვლავ გაიმეორა თავისი საყვედური, მაგრამ 1922 წელსაც ძველებურად განაგრძობდა თავის პოლიტიკას.

როცა 1922 წ. მუშები გაბრაზებული იყვნენ მთავრობის წინააღმდეგ, რადგან ის არავითარ ზომებს არ იღებდა უმუშევრობის წინააღმდეგ, გომპერსმა ურჩია მათ აერჩიათ მთავრობის მოწინააღმდეგენი. მაგრამ არჩევნების ბედი გადაწყვეტილი იყო. არჩევნების შემდეგ გომპერსს ცამდი აყავდა პროფკავშირების უპარტიო პოლიტიკა, რომლის წყალობითაც არჩევნებში გავიდა პროფკავშირების კანდიდატების უმრავლესობა. მაგრამ გომპერსმა არაფერი სთქვა იმის შესახებ, რომ პროფკავშირებში გაერთიანებულ სამ მილიონ მუშას არ ექნებოდა დიდი გავლენა მუშათა საერთო მასაზე. მან არაფერი სთქვა იმის შესახებაც, რომ სოფლის მეურნეების (ფერმერები) არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ პროფკავშირების პოზიციას. მან არაფერი სთქვა აგრეთვე შტატ ოგაიოში სენატორის არჩევნების დროს მომხდარ სასაცილო ამბავის შესახებ. იქ პროფკავშირები მხარს უჭერდნენ სენატორ პომერენის კანდიდატურას, რკინისგზელები კი, რომლებიც არ შედიოდნენ პროფკავშირში, მხარს უჭერდნენ სენატორ ფესს. პროფკავშირი პომერენს უწოდებდა მუშების მეგობარს, რკინისგზელებს კი ცამდის აყავდათ ფესსი და ილაშქრებდნენ პომერენის წინააღმდეგ. აირჩიეს ფესსი, რაც ამტკიცებს რკინისგზელების ორგანიზაციულობას და ძალას. მაგრამ რა განსხვავება იყო ამ ორ კანდიდატს შორის? არც ერთი და არც მეორე არ იყო მუშების ნამდვილი წარმომადგენელნი. არც ერთი და არც მეორე არ არის პასუხისმგებელი მუშების წინაშე. მუშებმა აირჩიეს კაპიტალისტი, რომელმაც უნდა დაიცვას მათი ინტერესები. აი, ასეთია შედეგი პროფკავშირების და რკინისგზელების პოლიტიკის, რომლებიც თავის თავს მუშათა არისტოკრატიათ სთვლიან და ამიტომ მეტად კონსერვატიული არიან.

სოციალისტური პარტია ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა. 1919 წელს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე მუშებმა მოსთხოვეს პარტიას, რომ მას პროპაგანდას გარდა ეხელმძღვანელებია მასიური მუშათა მოძრაობისათვის, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მუშათა კლასის განსათავისუფლებლად და ხელისუფლების მოსაპოვებლად სულ სხვა ზომებს მიმართავს, 1919 წელს ფოლადის წარმოების მუშებმა და რკინისგზელებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ამერიკის მთავრობამ ჩაქრო გაფიცვა. მაშინდელ, მსოფლიოში უძლიერეს მთავრობასთან ბრძოლა აშინებდა სოციალისტური პარტიის ლიდერებს—ხილკვიტს, ბერგერს და სხვებს, რომლებმაც გარიცხეს პარტიიდან „წესრიგის დამრღვევთა" უმრავლესობა და ამით დაამყარეს მშვიდობიანობა სოციალისტური პარტიის რიგებში, ამის შემდეგ პარტია უფრო და უფრო იხრწნება. ის არ ებრძვის პროფკავშირებს, ხილკვიტი თვით გამოდის პროფკავშირების კრებებზე, მისთვის არ არის არა სასურველი კონსერვატორული მუშები. ყველა ყვითელი ბელადები გაერთიანდნენ, რომ საშვალება არ მისცენ მუშებს შეკავშირდნენ კომუნისტურ პარტიაში, რომელიც განუწყვეტლივ ებრძვის კაპიტალიზმს. მაგრამ გომპერსების და ხილკვიტების ხელში არ არის ამერიკის მთელი მუშათა მოძრაობა.

ამერიკის პროფკავშირებში, კომუნისტების გავლენის წყალობით ძლიერდება მემარცხენე ფრთა, ე. წ. „დამოუკიდებელ კავშირებში" არიან რადიკალური და პროგრესიული ჯგუფები, რომლებიც აღიარებენ მუშების დამოუკიდებლათ გამოსვლის საჭიროებას პოლიტიკაში. ამან წარმოშვა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნის იდეა.

ი. ამტერ.

„ინპრეკორ".

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ისპანიაში მოძრაობა იზრდება.

პარიზი. 28 მაისი. გაფიცვა ბარსელონაში გრძელდება. რკინის გზით მიმოსვლა შეჩერებულია. მრავალი ქარხნები, ნახშირის უქონლობის გამო, დაკეტვის პირზე სდგანან.

რკინის გზელების საერთო გაფიცვის წინ.

პარიზი. 28 მაისი. ბელგიის რკინის გზელების გაფიცვა გრძელდება. ბელგიაში დიდი ნგრევაა. დამდგარი არის 45 000 დატვირთული ვაგონი, რომელნიც რურში გასაგზავნად იყვნენ დანიშნული. დიდი წარმოებების მთელი რიგი დაკეტვის წინაშე სდგას. ფასებმა ნახშირზე და პირველ მოთხოვნილების საგნებზე ძალიან აიწია. ელიან, რომ რკინის გზელთა სინდიკატი საერთო გაფიცვას გამოაცხადებს.

უცხოეთის ცხოვრება

პროფესიონალური მოძრაობა სამხრეთ-სლავიაში.

მიუხედავად ყოველგვარი შევიწროებისა, სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელი ორგანიზაციები წარმოადგენენ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს და აერთიანებენ 38,460 მუშას.

კავშირების მიხედვით ეს მუშები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

სამთომადნო მრეწველობის მუშები . . .	8350
მეტყავეები	2148
ხის დამმუშავებლები .	3670
მელითონეები	3595
მკერვალები	1894
კომუნალური მეურნეობის მუშები . . .	1994
სასოფლო-მეურნეობის მუშები	5515
ფაბრიკის მუშები . .	848
დალაქები	100
სავაჭრო-სამრეწველო მუშები	467
სასტუმროების მოსამსახურეები . . .	526
მცირე წლოვან მუშების კავშირი	1124
დამოუკიდებელი სლავენსკის კავშირი .	6000

ეს კავშირები ემხრობიან პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოს, რომელიც იმყოფება ბელგრადში.

გრაფიული ხელოვნების მუშაკთა

კავშირი, რომელშიაც შედის 7,468 წევრი, არ ემხრობა არც ერთ პროფესიონალურ გაერთიანებას. ამას გარდა მოიპოვება კიდევ ხორვატული ნაციონალური პროფესიონალური ორგანიზაცია 4669 წევრით, პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს სოციალისტურ პარტიასთან და აერთიანებს 5400 წევრს; არის აგრეთვე კლერიკალური ორგანიზაცია 2,600 წევრით და ნაციონალისტური 4,200 წევრით.

1921 წელს დაარსებულ პროფკავშირთა გაერთიანებას, რომელიც ემხრობა ამსტერდამს და სარგებლობს მუდამ მთავრობის მფარველობით, ჰყავს სულ 9,400 წევრი.

ამიერ კავკასიის ცხოვრება

საქართველო

აჭარა

ამხ. ვოროვსკის სახელობის ქუჩა.

ბათომი. 30 მაისი. ბათომის ქალაქის სამეურნეო განყოფილებამ სკობოლევის ქუჩას უწოდა ამხ. ვოროვსკის ქუჩა.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი. 30 მაისი. ოდესიდან გემმა „პესტელ"-მა მოიყვანა 120 მგზავრი, მოიტანა 5,217 ფუთი საქონელი და უკან გაბრუნებისას წაიღო 1111 ფ. სხვა და სხვა საქონელი და წაიყვანა 850 მგზავრი. ალიოშა ჯაფარიძის სახელწოდების მოტორმა ფოთიდან მოიტანა 2500 ფუთი ფქვილი. ამერიკული გემი „კლონდარფ"-ი ფოთისაკენ გაემართა შავი-ქვით დასატვირთად.

ჩაის მოსავალი.

სოხუმში. 29 მაისი. ჩაის პლანტაციებზე პირველი მოსავალი მოიკრიფა; ეხლა მეორე მოსავლის მოკრეფას შეუდგნენ.

ინვალიდთა კვირეული.

ბათომი. 29 მაისი. ინვალიდთა კვირეულის წარმატებით ჩატარებისათვის გადაწყვეტილია ეთხოვოს ცენტრ.-აღმასრულებელ კომიტეტს, რათა კომისიას გადაეცეს საჯარიმო თანხები, რაც კი სახალხო კომისარიატებშია შემოსული; ამავე კომისიას გადაეცეს ყველა ღირებულებანი, რაც კი სასამართლოს დადგენილებით სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა წასულიყო; ერთი კვირის განმავლობაში 5 პროც. შეეწეროს ყოველგვარ ნოტარიალურ ხელშეკრულებას და ამდენივე პროცენტი შეეწეროს მსხვილ წარმოებებს. დადგენილია შესდგეს შემოწირულებათა ფურცლები დ დახმარება ეთხოვოს სამეურნეო დაწესებულებებს, ტრესტებს, და სხვ. ქარხნებს აგრეთვე მოეწყოს შემოწირულებათა შეკრება ყულაბებით სამი დღის განმავლობაში. საგანგებოდ გამართულ კონცერტებსა და წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო არტისტული ძალები. აგრეთვე ფართოდ მოეწყობა შემოწირულების მოკრეფა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა შორის კი ნებაყოფლობითი შეწირულება გაიმართება.

კულტურული მიწები.

ბათომი. აჭარისტანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების კომისარიატმა უკვე დაასრულა იჯარით გაცემა კულტურული მიწებისა. სულ გაცემულია 182 ნაჭერი მიწა. ყველგან შეფასდა ნერგეულის ღირებულება. საგანგებო კომისიამ ადგილობრივ დაათვალიერა სავაჭრო ოთახები, რომლებსაც გააქირავებს.

ახალი გზები.

ბათომი. 29 მაისი. ბარცხანის რაიონში გაყვანილია სამი ახალი შარა გზა. სოფელ კაპრიშულში—ერთი სასოფლო გზა.

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის ნავთის მრეწველთა საზოგადოება და სემირეჩინის რკინის გზა

ბაქო. 30 მაისი. ბაქოში ჩამოვიდა წარმომადგენელი თურქესტანის მხარეში სემირეჩინის რკინის გზის გამყვანი საზოგადოებისა და მოლაპარაკებას აწარმოებს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველთა საზოგადოებასთან, რომ მან მონაწილეობა მიიღოს ამ გზის დასრულებაში თავისი ნავთის გაღებით სათანადო პაის მაგიერ.

ნავთის ფრონტზე

ბაქო. 30 მაისი. ბაქოს ნავთის ყველა სამრეწველოებში 23—25 მაისის განმავლობაში ამოუღიათ 1,830 ათასი ფუთი ნავთი.

აზერბეიჯანის კავშირში

ბაქო. 30 მაისი. აზერბეიჯანის კავშირის სარევიზიო კომისიამ დაათვალიერა სამაზრო განყოფილებები და ზოგიერთ მათგანში აღმოაჩინა ბოროტმოქმედებანი. სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ, აზერბეიჯანის კავშირმა დაადგინა გააუქმოს ზოგიერთი სავაჭრო განყოფილებანი, როგორც ზარალის მომცემი.

ბაქოს ტრამვაი.

ბაქო. 30 მაისი. იუწყებიან, რომ იზოვის ქარხანამ 12,000 ფუთი მასალა გამოისტუმრა ბაქოს ტრამვაისათვის.

მევენახეობა ომის წინანდელ დონეზეა.

ბაქო. 29 მაისი. საბჭოთა მეურნეობის ყველა ვენახებს მიაწოდეს საწამლი მანქანები და მასალა. განჯის მხარეს ყველა მამულებს დაურიგდა ეს მასალა და იარაღი. ახალი მოსავლის ვარაუდი ამ დღეებში გამოირკვევა. აზერბეიჯანის მევენახეები გულმოდგინეთ შეუდგნენ ვენახების განახლებას. ბევრნი თხოულობენ საწამლ მასალას. აზერბეიჯანის მევენახეობის რაიონში, შუშის მაზრაში, მოეწყო ვაზის მოვლისა და წამლობის საჩვენებელი პუნქტები. ამის გარდა აფშერონის ნახევარ კუნძულზე ბაქოს საბჭოს მიწათ-მოქმედების განყოფილებასთან მოეწყო საჩვენებელი მინდორი ზომით 20 დღიური, მაშტაღის რაიონში. განჯის მხარეს კერძო მევენახეებსაც დაურიგდათ საწამლი მასალა და აპარატები, რითაც საშუალება ეძლევათ წესიერათ შეწამლონ ვენახები. შემახის და გოგჩის რაიონებში კი ვენახის პატრონები ინტენსიურათ ვერ აწარმოებენ ამ საქმეს, რადგანაც არეულობასა და სამოქალაქო ომიანობის დროს გაჩანაგებული ვენახების აღდგენას უნ დებიან. აზერბეიჯანის მევენახეობა შარშანდელს აქეთ თანდათან უახლოვდება ომის წინანდელ დონეს.

სომხეთი

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი.

ერევანი. 20 მაისი. კარაკლისის მაზრაში ეროვნულ უმცირესობათ აქვთ 6 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 885 მოწაფე. ამათგან 2 სკოლა რუსებისაა, 4—თურქებისა. დილიჟნის მაზრაში არსებობს 8 სკოლა, ხუთი რუსული და სამი თურქებისა, რომლებშიაც ირიცხება სულ 364 მოწაფე. გუმბრის მაზრაში არის 15 სკოლა, ამათგან 1 რუსებისა, 6—იეზიდებისა და 8—თურქებისა. ამ სკოლებში 509 მოწაფეა. ახალ-ბაიაზეთის მაზრაში არის 4 სკოლა, ამათგან 1 რუსებისა 3 თურქებისათვის; ამ სკოლებში 123 მოწაფეა. ერევნის მაზრაში არსებობს 15 სკოლა. ამათგან 5 რუსებისა, 5—თურქებისა 4—აისორებისა და 1 ბერძნებისათვის. ამ სკოლების მოწაფეთა რიცხვი 880-ს უდრის.

დილიჟნის სანატორიუმი.

დილიჟანი. 30 მაისი. დილიჟნის სანატორიუმში მოთავსებულია 30 ჭლექით ავადმყოფი. კვება რიგიანი აქვთ. სანატორიუმს აქვს საკუთარი მეურნეობა, ბაღი, ბოსტანი და სამკითხველო.

საპროტესტო მიტინგი.

ერევანი. 30 მაისი. ყველა კუთხიდან აუარებელი ცნობები მოგვდის, რომ იქ მოუწყვიათ მრავალ რიცხოვანი საპროტესტო მიტინგები საერთაშორისო კაპიტალის თავხედ მომძლავრების გამო.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის საბჭოს სამმართველოს კომუჯრედში.

სულ რამდენიმე ხანია, რაც ჩამოყალიბდა ამიერ-კავკასიის საბჭოს სამმართველოს კომუჯრედი № 35. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ მთელს დაწესებულებაში მუშაობს მხოლოთ ოთხი პარტიული ამხანაგი, რომლებიც აქნობამდი მიმაგრებული იყვნენ სხვა უჯრედებზე დ მოკლებული იყვნენ საშუალებას ეზრუნათ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციულ მუშაობაზე. დღეიდან კი ხსენებული უჯრედი ეცდება გააფართოვოს თავისი მუშაობა, მჭიდროთ შეაკავშიროს მოსამსახურენი და ჩააბას თავის თავთან ერთად პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში. იაჩეიკის ასეთ ზრუნვას ადასტურებს მაგალითად 26 მაისს შემდგარი ღია კრება, რომელსაც და- [illegible]რო საკმაო რიცხვი უპარტიო თანამშრომლებისა. კრება დანიშნული [illegible] პარასკევს, საღამოს ერთიან პა[illegible]ელ დღეს, მაგრამ იმ მოსაზრებით, [illegible]მ მეტი უპარტიო თანამშრომლები [illegible]ესწრებოდენ კრებას, გადადებულ იქმნა მეორე დღისთვის მუშაობის გათავებისას. მართლაც აღნიშნულ დროისთვის შემდგარმა საქმიანმა კრებამ გაამართლა უჯრედის იმედები. კრების საგანს შეადგენდა, როგორც პარტიულ—ორგანიზაციული, ისე მოსამსახურეების ეკონომიური კრიზისის თავიდან ასაცილებლათ საშუალებების გამოძებნის საკითხები. დამსწრენი ყურადღებით შეხვდენ პარტიულ—ორგანიზაციულ საკითხებს და გამოსთქვეს სურვილი კომუჯრედთან ერთად ხელიხელ ჩაკიდულნი იმუშაონ არსებული ძალაუფლების გასამტკიცებლად. ერთხმათ უცვლელათ მიღებულ იქნა უჯრედის მიერ წარმოდგენილი ერთი თვის მუშაობის გეგმა.

ყურადღებით იქნა მოსმენილი კრების მიერ ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხი: თანამშრომლების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მსჯელობის შემდეგ კრება მივიდა იმ დასკვნამდის, რომ საჭიროა მიღებული იქნას ზომები, რათა დროზე დაიდვას კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც შეამსუბუქებს თანამშრომლების ეკონომიურ დუხჭირ პირობებს. ამისთვის კრება ავალებს უჯრედს ადგილკომთან ერთად იზრუნოს ამის შესახებ და იშუამდგომლოს უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა დააჩქარონ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. ხაზ-გასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამსწრენი დაუზარებლათ, გულდასმით და ყურადღებით შეხვდენ კრებას და შეიძლება გაბედულათ ითქვას, რომ უჯრედი თავისი შრომითა და ენერგიით შესძლებს მომავალში უფრო მჭიდრო კავშირი დაიჭიროს მათთან და ჩააბას ფართო ორგანიზაციულ მუშაობაში.

ბ. ენუქიძე

წყალსადენის კომუჯრედში.

პარასკევს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგა ქალაქის წყალსადენის და ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის კომუჯრედების გაერთიანებული სხდომა, უპარტიო მუშების თანდასწრებით.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება—ტფილისის წყალსადენის მდგომარეობაზე, 2. მოხსენება სამხედრო სკოლის კურსანტების ცხოვრებაზე და 3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ტიგიშვილმა, რომელიც ახასიათებს წყალსადენის სადგურის მანქანების მდგომარეობას და წყლის რაოდენობის მოწოდებას ქალაქში და მისი განაწილებას სხვა და სხვა რაიონებზე.

შემდეგ მოხსენებით გამოდის ამხ. გაგნიძე, კომუჯრედის მუშაობის შესახებ უპარტიო ამხანაგთა შორის. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია.

სამხედრო სკოლის ცხოვრებაზე მოხსენებას აკეთებს სამხედრო კომისარი ამხ. შიროტაძე, რომელიც ახასიათებს სამხედრო დისციპლინას უმნიშვნელობაზე, რომელიც შეგნებულათ და მტკიცეთ არის დაცული კურსანტებში. კულტურული მუშაობის შესახებ მან აღნიშნა, რომ უმწყობრო გუნდში, სადაც მხოლოდ წითელ არმიელებია, იქაც კი არ ჰყავთ წერა-კითხვის უცოდინარი. კულტურული მუშაობა დამაკმაყოფილებლათ არის დაყენებული.

ნ. ფ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.
(31 მაისი.)

ჩერვონცები —11,300 ათასი.
გირვან. სტერ. —12,850 ათასი
დოლარი —3,100 ათასი
ოსმალ. ლირა —2,030 ათასი.
საბჭ. ფულ. ნიშნ.—19,25 ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი
(31 მაისი)
(ჩერვონცებში.)

ოქრო 96 სინჯის—0,735 ჩ. ოქრო 56 სინჯ.—0,367 ჩ.; ვერცხლი 84 სინჯის—0,01428 ჩ., ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—0,367 ჩ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.
(31 მაისი).

ბირჟაზე მდგომარეობა შესამჩნევად გაცხოველებულია. დიდი მოთხოვნილებაა გირვანქებსა და დოლარებზე—ამ ვალიუტის მიწოდება კი მეტად მცირეა. შემჩნეულია ფასების ძალიან მცირედ აწევა.

ოფიციალური ხელშეკრულებანი.
31 მაისს.

ყულფის მარილი—ფუთი ერთი მილიონი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ფრანკო გამყიდველის საწყობში.

ბაზრის მდგომარეობა.
31 მაისს.

მცირე მოთხოვნილებაა ხორბლეულობისა, შაქრისა და ფართლეულისა. დანარჩენებში ცვლილება არ მომხდარა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდებანი.

სკიპიტარი, სახურავის რკინეულობა. სადურგლო წებო. ქვა მარილი. თუშური მატყლი. ფოცხები. ავსტრიული ცელები. თოკი. ფურცლოვანი სპილენძი. სოდა. რუსეთის ფართლეულობა. საალმშენებლო ლურსმნები. გოგირდი „ბუდა". ხმელი ძაფები. ავტომობილ „ფორდის" ნაწილები. ცხვრის ნაწლევები. სოხუმისა და ლაგოდეხის ფოთლოვანი თამბაქო.

ბირჟის მოთხოვნილება.

მარილის სინდიკატის პროდუქტები. სახურავის რკინეულობა. მუშების ფეხსაცმელები უმაღლეს ხარისხის. ბრეზენტი მოსასხამისათვის. ცხვრის ნაწლევები. ფქვილი 1 ხარის. წისქვილის აბრეშუმის საცრები. ღვედები. ფოცხები. ცელები. ნავთალინი. ქინაქინა. შაბი. ყუბანის ფქვილი. ხორბლეულობა. შაბიამანი. საალმშენებლო ლურსმნები. გოგირდი. თამბაქო.

საქონლის ბაზრის ფასები.
(საბითუმო)

ყუბანის ხორბალი—1700—1800. ადგილობრივი ხორბალი—1500—1600, ქერი—600—650, აქულის ბრინჯი 6000—6500, ქვა მარილი—1700—1800, ფქვილი „კრუპჩატკა" —3.600—4,000, ნატეხი შაქარი—19,000, კარაქი ფუთი—22.000—24,000, ერბო—20,000, შვეიცარული ყველი—23,000, ინგლისური შაბიამანი ფუთი—12,000.

მუშკოოპის ფასები.
30 მაისი.

თეთრი პური—45 ათასი. თეთრი ფქვილი 1 ხარისხ.—100 ათასი მე-2 ხარისხ.—70, ასანთი—40, წითელი ლობიო—35 ათასი. „ბაბიტ"-ის საპონი—350 ათასი. „ტოლეს" საპონი—340 ათასი. ზეთი—250 ათასი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდებანი.

ნაწლევები, ავტომობილ „ფორდის" ნაწილები. სარდაფის ფოლაქები. ხმელი ძაფები. გოგირდი „ბუდა". საალმშენებლო ლურსმნები. სახურავის რკინა. შაქრის ფხვნილი. შუშის ნაწარმოებები. ავსტრიული ცელები. თუშური მატყლი. ქვა მარილი. ნახევრად თეთრი სკიპიდარი.

ბირჟის მოთხოვნილება.

მუშების ფეხსაცმელები უმაღლეს ხარისხის, ბრეზენტი მოსასხამისათვის, ღვედები, ფოცხები, ცელები, პარაფინი, ქინაქინა, შაბი, ყუბანის ფქვილი, ხორბლეულობა, შაბიამანი, გოგირდი „ბუდა", ლაგოდეხის და სოხუმის ფოთლოვანი თამბაქო,

საქონლის ბაზრის განწყობილება.
(30 მაისი)

ბაზარზე ცოტა მოთხოვნილებაა, სუსტია ადგილობრივი ხორბლეულობის მოთხოვნილება, იგივეა შაქრის ბაზარზეც. საერთოდ დიდი ცვლილება არ მომხდარა.

ნავთის გაზიდვა.

ამ დღეებში ბათომიდან „ტიურბო"-ს გემით გაიტანეს 6,000 ფუთი ნავთი.

არკოსში.

აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის საზოგადოებისაგან არკოს ამხანაგობამ შეიძინა 5000 ტონა საპოხი ზეთი, 2000 ტონა საწვავი ზეთი. 15 ივნისს ამ საქონლის წასაღებად ბათომში მოვა გემი „ობერ-შლეზნენ"-ი.

ჩაქვი სასოფლო-მეურნეობის გამოფენაზე.

ჩაქ[illegible]ნ სრულიად რუსეთის სასოფლო-მეურნეობის გამოფენაზე [illegible] 260 მცენარის ნიმუშები. ქარხანა [illegible]ადებს ბამბუკის ავეჯეულობას.

ნაწლევების გაზიდვა.

ტფილისში არსდება სააქციონერო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს ნაწლევების მოგროვებას, დამუშავებას და საზღვარ-გარედ გაზიდვას. საზოგადოების ძირითადი თანხა 250,000 მანეთია ოქროთი.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

შუამდგომლობაა აღძრული, რათა არაყზე შემცირდეს სააქციზო გადასახადი.

ქსანის კრამიტის ქარხანა.

ამ ქარხანაში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი 159 უდრის (155 მუშა და 4 მოსამსახურე).

მარტისა და აპრილის განმავლობაში ქარხნის წარმოებითმა უნარმა საგრძნობლად დაიწია, რადგანაც დროზე ვერ გაისტუმრეს კუთვნილი ხელფასი და ვერც თავის დროზე აწვდიდნენ ტეხნიკურსა და სათბობ მასალას.

ხსენებულ ორი თვის განმავლობაში ქარხანამ დაამზადა 75,000 ცალი კრამიტი, ამათგან გაცემულია 50,000 ცალი.

ნედლი მასალა ადგილობრივ იშოვება განუსაზღვრელის რაოდენობით. ქარხანას, სათბობ მასალას ვერ აწვდიან დროზე და მხოლოდ აპრილის გასულს მიიღო ქარხანამ თითქმის სამი თვის საყოფი ქვანახშირი და ნავთი.

ხე-ტყის სახერხაო ქარხანა საკმაო წარმატებით მუშაობს. აღნიშნულ ორი თვის განმავლობაში დახერხილია 6000 ოთხკ. ვერშოკი ხე-ტყის მასალა.

საამშენებლო განყოფილება მუშაობას აწარმოებს დამზადებულ მასალის განაღდებული თანხით, მხოლოდ აპრილში მიიღო მან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან სესხის სახით ერთი მილიარდი მანათი, რათა ქსანის კრამიტის ქარხნისათვის გადაეხადნა ნაწილი აღებული ვალისა.

განყოფილებას აზერბეიჯანის ნავთის მრეწველთა კომიტეტის შეკვეთით ამზადებს 3000 ცალ კრამიტს. ეს შეკვეთა ცოტა მაინც გამოაკეთებს ქარხნის მდგომარეობას.

სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის საარქიტექტურო საალმშენებლო განყოფილების მოქმედება

უკანასკნელი დროის განმავლობაში საარქიტექტურო-საალმშენებლო განყოფილების უშუალო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ გაკეთებულია სარემონტო სამუშაოს მთელი რიგი: რემონტი გაუკეთდა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას, ს. მ. უ. ს. სათბობი მასალის განყოფილების რამდენიმე შენობას ნავთლუღის საწყობებში, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენების ქარხნის განყოფილების ქარხნისა და მარულის თავლას და განყოფილება შეუდგა აგრეთვე მუშაობას ვაკეზე წითელ სტადიონის მოსაწყობათ და სხვა.

ამას გარდა საარქიტექტურო-საალმშენებლო განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ტეხნიკურ კომისიებში, რომელთა დანიშნულება იყო სხვა და სხვა სახკომებისა დაწესებულებების შენობებისათვის საჭირო საალმშენებლო-სარემონტო მუშაობისათვის წინასწარი აქტების შედგენა, მის მიერ გასინჯული, შესწორებული და დამტკიცებულია სხვა და სხვა უწყებების მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვები, შეგროვილია ცნობები საალმშენებლო მასალებისა და მუშა ხელის შესახებ და სხვა.

საალმშენებლო განყოფილების მოქმედება.

საალმშენებლო განყოფილებას არა ნორმალურ პირობებში უხდება მუშაობა იმის გამო, რომ განყოფილებას არ აქვს საბრუნავი თანხები, რის გამოისობითაც განყოფილება მიმდინარე შეკვეთებზე მუშაობს მხოლოდ.

საქმე ფერხდება იმის გამო, რომ არ არის მოთხოვნილება საალმშენებლო მასალებზე ანდა, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, საშუალებების უქონლობის გამო მათ შესაძენათ.

განყოფილების წარმოებებიდან აპრილის განმავლობაში ქსანის კრამიტისა და განყოფილების მიერ იჯარით აღებული ტყის მხერხავი ქარხანა მუშაობდა მხოლოდ რეგულიარულად.

წერილები ბაქოდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

მაზუთის ფრონტის გმირები.

საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მთელი პროლეტარიატი არა ჩვეულებრივ ღონისძიებას ხმარობს, რომ აღადგინოს ჩვენი მრეწველობა.

ჩვენი მრეწველობის აღდგენის ფრონტზე ჩვენ ვხედავთ თუ როგორის სიმტკიცით, თუ როგორის ენერგიის და თავდადებით თუმცა ნელა, მაგრამ შეურყევლად აღწევენ ჩვენი მუშები ერთ გამარჯვებას მეორეზე.

აქ, ისე როგორც სამხედრო ფრონტზე, ჩვენ ვხედავთ როგორც ცალკე მუშაკების ისე მრეწველობის მთელი დარგების და ჯგუფების არაჩვეულებრივ გმირობას.

მუშების ამ გმირობის და არაჩვეულებრივი თავდადების წყალობით ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ, ყოველ დღე ვგრძნობთ ტიტანიური მუშაობის შედეგებს აღდგენილი ფაბრიკა-ქარხნების, სასარეწაოების და შრომის ნაყოფიერების ზრდის სახით. მრეწველობის ზოგიერთ დარგებში უკვე მიაღწიეს ომამდის არსებულ ნორმას, არის ისეთი დარგებიც, სადაც ომამდი არსებულ ნორმასაც გადააჭარბეს.

ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყანაში სადაც არსებობს მშრომელთა დიქტატურა, სადაც თითეული ხედავს და გრძნობს, რომ მთელი მრეწველობა ან მისი რომელიმე ნაწილი შეადგენს მუშათა და გლეხთა საკუთრებას და რომ მრეწველობის აღდგენაზეა დამოკიდებული თვით მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეს შეგნება ახალისებს მშრომელ მასას და სასწაულებს ახდენს.

ბაქოს მუშები თავისი მრეწველობის აღდგენის საქმეში არ რჩებიან უკან საბჭოთა რესპუბლიკების სხვა მუშებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი, განსაკუთრებით თავდადებულია ბაქოს სამთო-მადნო წარმოების მუშების შრომა. მათ ამოცანას შეადგენდა მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის აღდგენა, როგორიც არის ნავთის წარმოება.

ვისაც უნახავს და იცნობს ჩვენი ნავთის წარმოების მდგომარეობას 20—21 წლებში, მან იცის თუ რა შედეგებს მივაღწიეთ ჩვენ ნავთის მრეწველობის აღდგენის საქმეში.

თუ ერთი-ორი წლის წინათ გულს მოგიკლავდა სამარისებური სიჩუმე ოდესღაც მანქანების გრიალით ცოცხალ რაიონებში, ახლა გული სიხარულით და სიამაყით ივსება მაზუთის არმიის გმირობით, რომელმაც თავისი თავდავიწყებული გატაცებით გააღვიძა ბაქოს ნავთის მრეწველობა. ჩვენ ახლა აღარ გვაკმაყოფილებს მცირეოდენი მიღწევები, უპატრონოთ მიტოვებული ნავთის ჭების აღდგენა, არამედ ყოველ დღე ვდგამთ ახალ-ახალ ნავთის კოშკებს, ვჭრებით დედამიწის გულში და ვიღებთ იქიდან „შავ სისხლს", რომელიც ასაზრდოებს მთელ ჩვენს მრეწველობას.

ჩვენ უკვე გვ აქვს საკუთარი საბჭოთა სასარეწაოები, მოწყობილი ამერიკულ ყაიდაზე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად.

განა არ უნდა ვამაყობდეთ ჩვენ მაზუთის არმიის გმირების შრომის ასეთი ნაყოფით, როგორიც არის მაგალითად ამხ კიროვის სარეწაო საბუნჩში, ილიჩის ნავთსადგური ბიბი-ეიბათში, ნავთის ათეული ჭები რომანში, სურახანში, ბინაგადაში და ბალახანში.

და განა ნაკლები შესრულდა სხვა გრანდიოზული და აუცილებელი სამუშაო?

არა მარტო ნავთის წარმოების აღდგენაში ისახელა თავი მუშათა კლასმა და ბაქოს სამთო-მადნო წარმოების მუშებმა. ისინი ფრთხილად ადევნებენ თვალყურს, რომ სახალხო მეურნეობა, ნავთის მრეწველობა მთელი იყოს, რომ არაფერი დაიკარგოს სასარეწაოებში და ქარხნებში.

განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ბაქოს მუშები, რომ ყოვლის განმანადგურებელმა ცეცხლმა არ შთანთქას მათი ტიტანიური შრომით აღდგენილი მრეწველობა. როგორის თავდადებით, თავდავიწყებით და გასაოცარის გმირობით იჭრებოდენ ბაქოს მუშები შუაგულ ცეცხლში და თავის მკერდით იცავდენ ცეცხლ-მოდებულ სასარეწაოებს და ფაბრიკა ქარხნებს

ყველას ახსოვს ის მძლავრი გატაცება, რომელიც მოედვა ბაქოს სამთო-მადნო წარმოების ყველა მუშებს, როცა 22 წლის დასაწყისში ვლაცას ბოროტმა ხელმა ცეცხლი წაუკიდა „ვიშკებს" სურახანში.

ქროდა საშინელი ქარი,—ცეცხლი გააფთრებით ედებოდა ნავთით გაჟღენთილ „ვიშკებს" და განადგურებით ემუქრებოდა ნავთით სავსე რეზერვუარებს.

ამ დროს უნდა გენახათ თქვენ ბაქოს მუშების ზღაპრული გმირობა. ამ ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობა მიიღეს ბაქოს სამთო-მადნო წარმოების ყველა მუშებმა.

ბობოქრობდა ცეცხლის სტიქია, შავი კვამლი ფარავდა ყველაფერს, მაგრამ მუშებს არ აშინებდა არაფერი, სიცოცხლის გაწირვაც კი არად უჩნდათ, მათ ახსოვდათ მხოლოდ ერთი რამ: სურახანის სარეწაოს გადარჩენა უნდა, უნდა დავიმარცხოთ სტიქია, თორემ ცეცხლი საშინელ ზარალს მიაყენებს ნავთის მრეწველობას და მთელ საბჭოთა სახელმწიფოს. და ყველა როგორც ერთი კაცი: ცეცხლის მქრობელები ნიჩბებით, ნაჯახებით, წითელ-არმიელები და ყველა მუშები ეკვეთენ ამ საშინელ მტერს.

ცეცხლი ჩააქრეს ისე, რომ მას საშუალება არ მისცეს მოსდებოდა სხვა რაიონებს.

მართალია, ამ ცეცხლმა ზარალი მიაყენა მაშინ ბაქოს ნავთის წარმოებას, მაგრამ ეს ზარალი მეტად უმნიშვნელო იყო იმ ზარალთან შედარებით, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ ბაქოს მუშებს ასეთი გმირობა არ გამოეჩინათ.

და ამ გმირობისთვის, ამ თავდადებისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა, მეზღვაურთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების ცენტ ალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ბაქოს მუშები დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით და სიგელით.

ბაქოს მუშები ამაყობენ იმით, რომ საბჭოების რესპუბლიკამ დააფასა მათი გმირობა და სასახელოდ ატარებენ ამ უმაღლეს ჯილდოს—შრომის წითელ ორდენს.

სახელი და დიდება ბაქოს სამთო-მადნო წარმოების გმირ მუშებს!

გაუმარჯოს წითელი დროშის პირველი ორდენის კავალერებს.

ტორი.

კოოპერაცია

ცეკავშირი.

22 მაისს, ცეკავშირის შენობაში მოწვეულ იქნა ცეკავშირის პასუხისმგებელ ამხანაგების კრება.

საწარმოო დარგის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. დოლიძე. მან გააშუქა წარსული მუშაობის გეგმა და დახატა სურათი, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს ცეკავშირის საწარმოო დარგები:

ძეხვის ქარხანა.

ძეხვის ქარხანამ გასული სამი თვის განმავლობაში გადაამუშავა საერთო რაოდენობით 1337 ფ. ნედლი მასალა. ფასების დღითი-დღე ზრდამ ქარხნისათვის მძიმე სამუშაო პირობები შექმნა. სამი თვის განმავლობაში ქარხნის პროდუქციის ღირებულება ნედლი მასალის თანდათანობით გაძვირების გამო, ერთი სამათ გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანას ფასების მერყეობის გამო მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, პირველი მეოთხედი საექსპლოატაციო წლისა საგრძნობი მოგებით დამთავრდა. მოგება უდრის 980 მ. ოქროთი.

საკონსერვო ქარხანა.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების ნაციონალურად გამოყენების ერთ-ერთ მთავარ საშუალებათ საწარმოო დარგს მიაჩნია ხილეულობის და ბოსტნეულობის ტეხნიკურათ გადამუშავება. ამ მიზნით ხილეულობით და ბოსტნეულობით განთქმულ რაიონში—გორის მაზრაში ჩვენ ვაპირებთ სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ ჩვენ საკონსერვო ქარხანა, რომ მან შესძლოს სავსებით, როგორც ამიერ-კავკასიის, აგრეთვე ნაწილობრივათ რუსეთის ბაზრის დაკმაყოფილება. ამ საქმისათვის ნედლი მასალა ბევრი მოიპოვება, მხოლოდ საჭიროა მეტი უნარიანობა. ჩვენი ქარხანა თავისი სიდიდითა და მოწყობილობით პირველ ადგილს დაიჭერს მთელ კავკასიაში.

ამასთანავე ქარხანასთან მოწყობილია საკონსერვო კოლოფების დამამზადებელი დარგი.

1923 წლის განმავლობაში ნავარაუდევი გვაქვს 5.000 ცალი კონსერვის დამზადება, გარდა პამიდორის პიურესი, გამხმარი ბოსტნეულობის და ხილეულობის ჩირისა.

აბრეშუმის საქსოვი ქარხანა.

აბრეშუმის ტეხნიკურათ გადამუშავებას ჩვენში დიდი მომავალი აქვს და ამ შეგნებამ გაგვაბედვინა ხელი მოგვეკიდნა ამ საქმისათვის. ჩვენი ქარხანა წარმოადგენს აბრეშუმეულობის ქსოვის უკანასკნელ სიტყვას. ფაბრიკა შესდგება 20 მექანიკური თვითმქსოვი დარგებიდგან. ფაბრიკა დაჯდა სულ 20.979 მ. 28 კაპ. ოქროთი.

კერამიკული ქარხანა.

სახალხო განათლების კომისარიატმა ჩვენ გადმოგვცა თიხა-ჭურჭლეულობის ქარხანა. ჩვენ ეს ქარხანა ავიღეთ საექსპლოატაციოთ იმ მოსაზრებით, რომ დღეს დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე. ქარხანას ვაფართოვებთ და ვაპირებთ ფართე მასშტაბით მუშაობას—შტატი ამ ქარხნისა ჯერჯერობით შესდგება 15 კაცისაგან.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მ. ტოროშელიძემ, დ. მახარაძემ, დიადკინმა, ჩხეიძემ, კალანდაძემ და სხვებმა.

მიღებული რეზოლიუცია აკანონებს გამგეობის მუშაობას.

ელ—რ.

პროფკავშირებში

ცირკულიარი.

პროფკავშირთა ყველა საბჭოებს, კავშირთა მთავარ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და რწმუნებულებს.

როგორ უნდა იქნეს გამოანგარიშებული საქონლის მანეთი.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით № 52, ამა წლის 17 მაისის თარიღით, აღრიცხულ საბიუჯეტო სეგნების ღირებულების შედგენა და გამოცხადება ბაზარზე არსებულ ფასების მიხედვით დავალებული აქვს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებებთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიებს. მხოლოდ დღევანდელ ფასების მშვიდობიან დროს ფასებთან შედარება, ანუ სავაჭრო მანეთის გამოანგარიშება, კომისიის ვალდებულებაში არ შედის. საქონლის მანეთი გამოანგარიშებული უნდა იქნეს, აღრიცხულ საბიუჯეტო პროდუქტების ღირებულებასთან შეფარდებით, კოლექტიურ ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეების მიერ.

საქონლის მანეთის გამოანგარიშების საშუალების სხვადასხვაობის ასაცდენათ და რესპუბლიკაში შრომის ხელფასის მოძრაობის აღსარიცხავათ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო წინადადებას იძლევა, რომ გამოცხადებული საბიუჯეტო პროდუქტების სიის ღირებულება გაიყოს ათზე. ეს შესაძლებელს გახდის და გააადვილებს შრომის ხელფასის ზრდის შედარებას ცალკე წარმოებების და აგრეთვე რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებს შორის.

რაც შეეხება საქონლის მანეთებში გამოანგარიშებულ შრომის ხელფასის ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე გადაყვანას,—ს. პ. კ. საბჭო წინადადებას აძლევს ყველას კოლექტიურ ხელშეკრულებაში აღნიშნონ, რომ მთელი თვის შრომის ხელფასი შეეცეს მომუშავეს თვის 15 რიცხვში, ვინაიდან არსებულ პირობების დაწვრილებითი განხილვიდან გამოირკვა, რომ თვის 15 რიცხვის კურსი არის ნამდვილად საშუალო თვიური კურსი. ასეთი ზომა სავსებით ეთანხმება შრომის ხელფასის დღევანდელ მოთხოვნილებას და გარდა ამისა, ამ ზომას შეაქვს ერთგვარი წესიერება სამეურნეო ორგანოების საწარმოო ოპერაციებში, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა ერთის მხრივ წინასწარ გამოარკვიონ დამუშავებულ საგნის თვითღირებულება და მეორეს მხრივ კი ხელს უწყობს შრომის ხელფასის თავის დროზე და წესიერ დარიგებას.

ს. პ. კ. ს. ს. მდივანი
გ. ყურულაშვილი.
ს. პ. კ. ს. ს. სატარიფო საეკონომიო განყ. გამგე ს. ჯუღელი.
ს. პ. კ. ს. ს. მდივანი
ს. კუტირიოვი.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში.
ცენ. კომ. პლენუმი.

მოსკოვში განზრახულ მიწა-ტყის მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტის პლენუმზე დასასწრებლად საქართ. მიწა-ტყის კავშირისაგან გაიგზავნა პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ფანცხავა.

საექიმო დახმარება მუშებს.

იმის გამო, რომ ჯანმრ. კომისარიატმა სამების სახალხო მამულში ექიმის თანამდებობა გააუქმა, კავშირმა გადასწყვიტა ამ მამულის მუშებს დამზღვევი კასის საშუალებით სათანადო დახმარება გაუწიოს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

კავშირის დადგენილებით ის მუშები, რომლებიც წერაკითხვის უცოდინარობის სლიკვიდაციო სკოლაში მეცადინეობენ უნდა განთავისუფლდენ მუშაობიდან დღის 12—13 ან 11—2 საათამდე ყოველდღიურად იმ დღეების გამოკლებით, როცასაც მუშაობის მიტოვება განსაკუთრებულ გარემოების გამო შეუძლებელია.

წიგნები მიწ-მოქმედების ადგილკომის ბიბლიოთეკისთვის

მიწა ტყის კავშირის კულტგანყოფილებამ შეიძინა და მიწად-მოქმედების კომ. ადგილკომს გადასცა პოლიტიკური და მხატვრული შინაარსის წიგნები და აგრეთვე რევოლიუციის ზოგიერთ ბელადების სურათებით.

წიგნები ყარაიაზის საცდელ მინდვრების მუშებს.

მიწა-ტყის მუშ. კავშირის კულტგანყოფილებამ ყარაიაზის საცდელ მინდვრის მუშებისათვის ადგილკომს გაუგზავნა რუსული და ქართული წიგნები, რვეულ კალმისტრები, მელანი, კარანდაშები და სხვა საჭირო სასწავლო ნივთები.

მელითონეთა კავშირში.
მელითონეთა განყოფილება.

კავშირის განკარგულებით მელითონეთა განყოფილება ვალდებულია დაურიგოს მუშებს სფეც-ტანისამოსი და მინიმუმ ხელფასად დასტოვოს საქონლის 9 მანეთი.

პროფ-ტეხნიკური კურსების პროგრამის გადასინჯვა.

მელითონეთა კავშირის დადგენილებით კულტგანათლების საქ. პროფ. საბჭოს კულტგანყოფილებასთან ერთად ამ მოკლე ხანში უნდა გადაისინჯოს პროფ ტეხნიკური კურსების პროგრამა და შეადგინოს ამ კურსების ხარჯთ-აღრიცხვა.

სამეცნიერო-სატეხნიკო კომისია.

პროფ-ტეხნიკური კურსების საქმეთა მოსაწესრიგებლად მელითონეთა კავშირთან არსებობს ე. წ. სამეცნიერო ტეხნიკური კომისია, რომელსაც ევალება სამეცადინო პროგრამის გამომუშავება და ამ მუშათა შორის პროფტეხნიკური განათლების გავრცელება.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა.

წერა-კითხვის უცოდინართა სკოლა დაამთავრა მელითონეთა კავშირის 19 წევრმა, პირველი საფეხურის სკოლა 14 წევრმა. მაისის პირველიდან დაიწყო მეცადინეობა მეორე საფეხურის სკოლაში. წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა აღწევდა 108 კაცს, კულტმუშაობით ეს რიცხვი საკმაოდ შემცირდა.

წითელ ჯარში

საზეიმო გახსნა ცენტრარმკლუბის საზაფხულო შენობისა.

შაბათს 2 ივნისს ცენტრარმკლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება საზეიმო საღამო საზაფხულო შენობის გახსნის გამო, შემდეგი შინაარსით: 1. საზეიმო სხდომა, 2. ქართული პიესა „სიკვდილის აჩრდილი", 3. დივერტისმენტი, მონაწილეობას ღებულობენ განსაკუთრებლივ წითელ არმიელნი.

ამას გარდა ამ საღამოსვე წავა რუსული პიესა, „მაწიუხინ ჩასოვოი", ბაღში გამართული იქნება ლატარეა და აუქციონი.

კინოში აჩვენებენ რევოლიუციონურ სურათს უფასოთ წითელ-არმიელთათვის.

საღამოზე დაშვებულ იქნებიან უფასოთ პროფკავშირის წევრებიც.

დრამატიული წრე.

შესდგა ამავე კლუბთან წითელ არმიელებისაგან ქართული დრამატიული წრე. წრეში მუშაობს თორმეტი კაცი. რეპერტუარი რევოლიუციონურია. მეცადინეობა ყოველდღიურია, საღამოობით 4—6 საათამდე.

წითელ-არმიელნი ინვალიდებს ეხმარებიან.

მესანგრე ასეულის წითელ-არმიელთა და უფშემადგენლობის საერთო კრებაზე დადგენილ იქნა ინვალიდების დასახმარებლათ ერთდროულათ გადასდონ თავის სამი ულუფა პური და სხვა სურსათ სანოვაგე.

სიკვდილი ჯაშუშებს და რევოლიუციის მოღალატეებს!

ცალკე მესანგრეთა ასეულში მოეწყო ხმა მაღალი კითხვა. ყველაზე აღფრთოვანება გამოიწვია წითელ-არმიელებში იმ ამბის გაგებამ, რომელიც მოხდა წარსულ კვირას: ქართველ მოღალატე ოფიცრების დახვრეტამ.

წითელ-არმიელნი მოხარულნი არიან ამ ამბით და ფიცს დებენ საბჭოთა მთავრობის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან რევოლიუციის მონაპოვარნი თავადაზნაურების და ვაჭარ-კაპიტალისტებისაგან.

ვეტერინარულ მომუშავეთა ყრილობისათვის

ძვირფასო ამხანაგებო!

ა. წ. 15 ივლისს საქართველოს საექიმო-სასანიტარო პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა და თბილისის ვეტერინარული სექციის მიერ მოწვეულია მეორე ყრილობა საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ვეტერინარულ მომუშავეთა, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენს შემდეგი საკითხების გარჩევა: ვეტერინარულ მუშაკთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, უფლება და მოვალეობა მათი პროფესიონალურსა და სამნეო სფეროში, ვეტერინარულ საქმის თავის დონეზე დაყენება რესპუბლიკაში და მთელი რიგი მეცნიერულ და სხვა საკითხებისა. ყველა ზემო მოყვანილი საკითხების შესახებ ყრილობამ, რასაკვირველია, უნდა სთქვას თავისი მტკიცე სიტყვა და აიღოს სწორი გზა მუშაობისა.

ქ. ტფილისის ვეტერინარულ მუშაკთა საერთო კრებაზე არჩეულია ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც მინდობილი აქვს გასწიოს წინასწარი მუშაობა. გამომუშავებულია ნორმა წარმომადგენლობისა ქალაქში და მაზრებში, ერთი დელეგატი ათ კაცზე. ის მაზრებიც, სადაც ათზე ნაკლები მუშაკები არიან, გამოგზავნიან თავიანთ დელეგატს.

მიიღო რა მხედველობაში სიმცირე და უსახსრობა ცენტრალურ გამგეობისა, ვეტერინარულ მომუშავეთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება: დაბეგრონ ტფილისის ვეტერინალური მუშაკნი ერთი დღის ხელფასით, რომელი თანხაც მოხმარდეს ყრილობის ხარჯის დასაფარავათ და მიმართონ მოწოდებით საქართველოს ვეტერინარულ მუშაკებს მიჰბაძონ ტფილისელ ამხანაგების მაგალითს.

ყრილობაში დაინტერესებულნი არიან და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას სამნეო ორგანიზაციები.

ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო მოუწოდებს საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ვეტერინარულ მუშაკებს ჩვენი საქმის გაუმჯობესებისა და თავის დონეზე დაყენებისათვის რესპუბლიკაში, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა იმ საკითხების სისწორით გადაჭრაში, რომლებიც დგანან ყრილობის წინ.

ამ გვარათ ჩვენ წინ დგანან დიდი და რთული საკითხები და მათ გადასაჭრელათ საჭიროა მომზადება.

საორგანიზაციო ბიურო გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ყველა ვეტერინარული მომუშავენი და დაინტერესებული დაწესებულებები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას და გაუწევენ დახმარებას დანიშნულ ვადაში ყრილობის მოწვევას.

საექიმო სასანიტარო კავშირის გამგეობის მდივანი **გოგიბერიძე.**

ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე
ხურჯანაძე

მუშათა ცხოვრება



ამხ. რევაზიშვილი.

მუშა-მსახიობის 20 წლის მოღვაწეობის იუბილე.

კვირას, 3 ივნისს, ავლაბრის მუშათა კლუბთან არსებული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე რეჟისორ იოსებ რევაზიშვილის საბენეფისოდ სდგამს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი კლასიკური პიესა—„ედმონდ კინი“, რასაც, დარწმუნებული ვართ, ჩვენი მუშები აუცილებლად დაესწრებიან და თავის თანაგრძნობას არ მოაკლებენ ჩვენს მუშა-ბენეფიციანტს, რადგანაც ის ჩვენია, მუშაა, მუშათა ოჯახიდანაა წარმოშობილი.

რამდენადაც მე მახსოვს, თუ მეტი არა, ოცი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამხ. რევაზიშვილი სცენას ემსახურება და ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, ის კეთილ სინდისიერად და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ამხ. რევაზიშვილი, როგორც ზევითაც ვსთქვით, თვითონ მუშაა, ხელობით კი მხატვარი, მაგრამ იმდენად მას თავის თავისთვის არ უზრუნვია, რამდენიც მან იზრუნა სცენისთვის. მას ბევრი გაჭირვება უნახავს ცხოვრებაში და შეიძლება შეურაცხყოფაც ძველი რეჟიმის მოთაყვანე საზოგადოებისაგან, მაგრამ ის, როგორც მუშური სცენის მოამაგე, უშიშრად შეყურებდა მომავალს და უფრო მეტის ენერგიით ემსახურებოდა მუშათა კლასს, რადგანაც მას სწამდა და ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მომავალში მისი დაწყებული საქმე სისხლ ხორცს შეისხამდა და ცხოვრებაში გატარდებოდა.

უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ნიკოლოზის რეჟიმის დროს და იმის შემდეგაც არც ერთ მუშა მოღვაწეს არავითარი პატივ-ღირსება არა ჰქონდა, რადგანაც იგი იყო მუშა უბრალო წრიდან წარმოშობილი და მის ნიჭს გზა ფართო არ ჰქონდა მაშინ. დღეს კი, როდესაც ჩვენში მტკიცე ნიადაგი მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლებამ, როდესაც მუშა ადამიანურ უფლებით შეიმოსა, როდესაც მისი შეზღუდული გზა გაფართოვდა, ასეთ მოღვაწეებისაკენ არის მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება. დღეს ჩვენ აუცილებელ მოვალეობას შეადგენს, რითაც და როგორც კი შეგვეძლება, ხელი შევუწყოთ ყველა ნიჭიერ და პატიოსან მუშას, რომ იგი უფრო გამხნევდეს და მომავალშიც უფრო გაორკეცებული ენერგიით განაგრძოს დაწყებული საზოგადო მოღვაწეობა. ამიტომ ჩვენს მუშა-მსახიობს რევაზიშვილს, ჩვენი ძმური და ამხანაგური თანაგრძნობა არ უნდა მოვაკლოთ და დაუზარებლად დავესწროთ მის საბენეფისო წარმოდგენას. ეს ჩვენი მოვალეობაა ამხანაგებო, ჩვენი მუშა **მსახიობ იოსების წინაშე.**

ძველი სუფლიორი მუშა
ალ. ბ—შვილი.

—

ლითონის ქარხანა „არმაზის“ მუშები.

ამ ქარხანაში მუშაობს 14 კაცი. ქარხანა ეკუთვნის კერძო მწარმოებლებს. მუშები, თანახმად მეპატრონეებთან დადებულ კოლექტიური ხელშეკრულებისა, ჯამაგირებს იღებენ თავის დროზე. სრულდება ორივე მხრით ხელშეკრულების პირობები. მხოლოდ მუშების მდგომარეობა აქ იმითაა ცუდი, რომ ისინი მუშაობენ მძიმე ჰიგიენურ პირობებში. მომუშავეთ თითქმის მთელი მუშაობა უხდებათ სინესტეში. ასეთ სამუშაოზე მუშა აუცილებლად წყალში უნდა იყოს და შეუძლებელიც არის მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა. მაგრამ მუშათა ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ შემდეგი პირობები: 1) ან უნდა შემცირდეს სამუშაო დრო რამდენიმე საათით ან და 2) როგორც ძნელ სამუშაოზე მომუშავეთ, მათ უნდა მიეცეთ ზედმეტი კატეგორიით ჯამაგირები.

ჩვენის აზრით მუშების ასეთი მოთხოვნილება არის სავსებით სამართლიანი და აუცილებლად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ქარხნის პატრონის მიერ.

მუშკორი ჩხმელი.

—

მუშათა ქრონიკა.

შრომის ექსპლოატატორები.

18 მაისიდან 30 მაისამდე მე 4 რაიონის შრომის ინსპექტორმა შრომის დაცვის კანონების შეუსრულებლობისთვის ოქმი შეუდგინა და გააფრთხილა შემდეგი მოვაჭრეები და ხელოსნები.

— **სამკერვალო სახელოსნოს პატრონი შალი იოჰანი** (დესიმონოვის ქ. № 21—29) იმის გამო, რომ ამუშავებდა მცირე წლოვან ტაზაგულოვს 4 საათის ნაცვლად 12 საათს, არ ჰყავდა დაზღვეული და ბავშვს არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონია.

— **სპილენძეულობის სახელოსნოს პატრონი კარხანოვი** (სამანის მოედანი № 1), რომელსაც ორი მუშის დასაზღვევი ფული კასაში შეტანილი არ აღმოაჩნდა, ხოლო 1 მცირე წლოვანი დაზღვეულიც არ ჰყოლია. აგრეთვე მუშებს არ ჰქონიათ საანგარიშო წიგნაკები, წარმოებაში არ აღმოჩნდა შრომის დაცვის შესახებ მომქმედი დადგენილებანი.

— **ღვინის საწყობის პატრონი დავით აჯიმამუდოვი**, იმის გამო, რომ მოზარდ მარტიროსოვის მიმართ არ იყო დაცული 6 საათის სამუშაო დრო (მარტიროსოვი 12—13 საათს მუშაობდა), არ ყოფილა აგრეთვე დაზღვეული და უკანასკნელად საწყობის პატრონისგან უკანონოთ იქნა დათხოვნილი.

—

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(სოციალური დაზღვევა)

კითხვა: თუ მუშა ან მოსამსახურე, რამოდენიმე დაწესებულებაში მუშაობს და ჯამაგირს ღებულობს ყველა დაწესებულებიდან. სადაც ის მუშაობს, ავადმყოფობის დროს ის ღებულობს თავის ძირითად ჯამაგირს თუ საერთოდ იმ ხელფასს, რომელსაც ფაქტიურად ის იღებს ყველა წარმოება-დაწესებულებიდან?

პასუხი: ის პირნი, რომელნიც მუშაობენ რამოდენიმე დაწესებულებაში და დაზღვეული არიან ყველა დაწესებულებების მიერ, ავადმყოფობის დროს ღებულობენ იმ ხელფასს, რომელსაც იღებდენ ყველა დაწესებულებებში, ხოლო მისაღები თანხა არ უნდა აღემატებოდეს დროებით შრომის უნარის დაკარგვის დროს არსებულ მაქსიმალურ ხელფასს.

კითხვა: როგორია დროებით შრომის უნარის დაკარგვის გამო დახმარების მაქსიმუმი?

პასუხი: დახმარების მაქსიმალური რაოდენობა უდრის მე-17 ხარისხის პასუხისმგებელ მუშაკთა ხელფასს, სადაც შედის ზედმეტი მუშაობისათვის დამატების სახით ძირითად ჯამაგირის 50 პროცენტი.

კითხვა: იმ პირებს, რომელნიც კასაში დაზღვეული არ არიან, სხვა და სხვა უბედურ შემთხვევების გამო, ვინ უნდა გაუწიოს დახმარება?

პასუხი: ამისათვის არსებობს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

ამ კომისარიატსა და დამზღვევ ორგანოებს შორის განსხვავება შემდეგია: დამზღვევი კასები ემსახურებიან დაქირავებულ შრომით მომუშავე პირებს, ხოლო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ორგანოების უმთავრეს ფუნქციას შეადგენს რესპუბლიკის უღარიბეს მცხოვრებთა დახმარება, ომის ინვალიდების მოვლა და სხვა.

კითხვა: დაზღვეული არიან თუ არა ისეთი თავისუფალი პროფესიით მომუშავენი, როგორც მაგ.: მასწავლებლები, რომელნიც სახლში იღებენ მოწაფეებს?

პასუხი: თავისუფალი პროფესიით მომუშავეთა დაზღვევა არ შედის დამზღვევი კასის მოვალეობაში.

დამზღვევი კასა.

საკურორტო სამმართველოში

ექსპედიციის მოხსენების თანახმად კოლეგიამ დააწესა აგარაკ ბახმაროს სამთო-სასანიტარო დაცვის საზღვრები.

1 მთის ყველა ფერდობები აგარაკის მხრისკენ მიმართული ყველა მათზე მდებარე სასარგებლო ადგილები და წყლებით შედის აგარაკის რაიონის საზღვრებში. 2. აგარაკის რაიონში შედის აგრეთვე „პატარა ბახმაროს“ ქალაკები და „ბაისურა“. 3. მთელი ბახმაროს რაიონი ისაზღვრება იმგვარად, რომ მთის ყველა იმ ჩანჩქერების აუზი, რომელნიც ბახვის წყალს ერთვიან და „დიდ ბახმაროსა“, პატარა ბახმაროსა და „ბაისურას“ საზღვრებს შორის მიმდინარეობენ, აგარაკის უწყებაში შევიდნენ.

წყალტუბოსათვის.

ჯანსახკომის რწმუნებულის ფრანგულიანის წინადადებით, კოლეგიამ ქუთაისის ჯანმრ. განყოფილების სახელზე წყალტუბოს საჭიროებისთვის გაგზავნა 2 მილიარდი მანეთი და დაავალა ტეხნიკმშენებლობის განყოფილების გამგეს ინჟ. ბუზოლლის გამოარკვიოს წყალტუბოს მდგომარეობა ადგილობრივ და დაუყოვნებლივ შეუდგეს სარემონტო მუშაობას.

ბახმაროს გამგე

კოლეგიის მიერ კურორტ ბახმაროს გამგის თანამდებობაზე დაინიშნა ექიმი გ. ვაწაძე.

ბახმაროს სამთო-სასანიტარო რაიონის დაცვის საზღვრები.

1922 წლის 14 აგვისტოს ბახმაროს შესასწავლად გაგზავნილი ექს-

ილია ნაკაშიძის დასაფლავება

ილია ნაკაშიძის დასაფლავებამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო—რადგან ილია ნაკაშიძემ მთელი მისი სიცოცხლე და ცოდნა შესწირა ქართველი ხალხის კულტურულ აღორძინებას. ხალხს იგი უყვარდა უსაზღვროთ—განსაკუთრებით ახალგაზრდობას—და ამიტომ იყო, რომ ეს დასაფლავება არ ჰგავდა ჩვეულებრივს.

სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღოდა კ. ფოცხვერაშვილის მგალობელი გუნდი და მრავალი გვირგვინი ცოცხალ ყვავილებიდან.

ცხედარს ხელით მიასვენებდენ მწერლები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

გზა და გზა პროცესიას უერთდებოდენ პატივისმცემლები.

სახალხო სახლთან სიტყვა უთხრა ივ. როსტომაშვილმა, მოიგონა მისი ღვაწლი სახალხო სახლის ისტორიაში, როგორც ერთი დაუღალავი ლექტორის და მისი მოამაგის.

დიდუბის ეკლესიასთან აგრეთვე დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი.

სასაფლაო — მორთული ყვავილებით. პირველი სიტყვა უთხრა ამხ. **ფილიპე მახარაძემ**—დაახასიათა იგი როგორც დიდი სპეტაკი საზოგადო მოღვაწე და ხალხისათვის თავდადებული ადამიანი.

განათლების კომისარიატის სახელით მგრძნობიერი სიტყვა უთხრა საშა აბაშელმა. ცრემლებით ათრთოლებული უკანასკნელი სალამით გამოემშვიდობა მხცოვანი მწერალი დავით კლდიაშვილი. იყო სხვა მრავალი სიტყვები ახალგაზრდებიდან — მისი მოწაფეებიდან.

X.

ქრონიკა

ქალაქის აღმ[illegible]

— **ხე-ტყის დამმუშავებელი სახელოსნო.** სატყეო ტრესტის: „საქართველოს ტყის“ შუამდგომლობის გამო—სახელოსნოს გასაფართოებლად შენობის გადაცემის შესახებ—პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. თაქთაქიშვილს ადგილობრივ გამოარკვიოს მდგომარეობა და მიიღოს ზომები.

— **პლეხანოვის ქუჩის მოკირწყვლა.** სააღმშენებლო განყოფილება შეუდგა პლეხანოვის ქუჩის მოკირწყვლას და შეკეთებას.

შრომის კომისარიატში.

— **უმუშევრების შესახებ.** ა.-კ. შრომის კომისარიატის რწმ. სამმართველოს კოლეგიის დადგენილებით—შვებულებაში გაშვებულ ან ავადმყოფ მუშა-მოსამსახურის ადგილზე დროებით მოწვეულ უმუშევარს ენახება თავის რიგი (ოჩერედ) შრომის ბირჟაში.

— **შრომის ინსპექციის დახურვა.** ა.-კ. შრომის სახ. კომ. რწმუნებულმა საქართველოში, გასცა ბრძანება ზუგდიდში, ახალქალაქში და დუშეთში სამაზრო, ხოლო ზესტაფონში სარაიონო შრომის ინსპექციების დახურვის შესახებ 1-ლ ივნისიდან.

კრებები და მოხსენებები

— **საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში.** კვირას, დილის 11 საათზე ხელოვანთა სასახლეში (სერგის ქუჩა № 13) მოხდება საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრების ხელნაწერისა და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების შესახებ“. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

სხვა და სხვა.

— **დახმარება ჩათახის ქარხანას.** სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ჩათახის ქარხანას ერთდროული დახმარების მიზნით გადასცა ერთი მილიარდი მანეთი.

— **პურის ფქვილი და პური რკინის გზის მუშებს.** რკინის გზის სამმართველოს სასურსათო განყოფილება ურიგებს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს თითო ფუთ საუკეთესო ხარისხის პურის ფქვილს 1,800 ათას მანეთად, და გამომცხვარ პურს 30 ათას მან. გირ.

— **დახმარება ინვალიდებს.** ა.-კ. მუშა მოსამსახურეების კოოპ. გამგეობამ ომში დაჭრილ დასახიჩრებულებს დახმარების სახით გადასცა 100 მილიონი მან.

შრომის ბირჟაში.

უმუშევრები. 30 მაისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 248, აქედან ქალი—65, კაცი—183. ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევრები—109 გაიგზავნა სამუშაოზე 57. აქედან ქალი—18, კაცი—31.

— **უფასო სადილები ახალგაზრდა უმუშევრებს.** შრომის ბირჟის სამმართველომ ახალგაზრდა უმუშევრებს სექციას დაუთმო 50 უფასო სადილი—1 ივნისიდან.

შემთხვევები.

გვამის პოვნა. 30 მაისს, დილით, 11 სამილიციო მუშათა უბანში, აგურის ქარხნის ეზოში ნაპოვნი იქნა ვინმე „ვ. ელანდოვის“ გვამი. გამოძიებამ ექიმების დახმარებით გამოარკვია, რომ მკვლელობა მომხდარა სხვა ადგილას, ხოლო გვამი მოტანილი იქნა აღნიშნულ ადგილას 29 მაისს ღამით. მოკლული არის მუსულმანი დაახლოვებით 23—25 წლის.

ხელოვნება

საუბარი რეჟისორ კოტე მარჯანიშვილთან.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა აკადემიურ დრამის სამხატვრო ნაწილის გამგე—ცნობილ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილს ჩვენი თეატრის მომავალ მუშაობის შესახებ, რომელმაც შემდეგი გადმოგვცა.

რა მდგომარეობაშია მომავალი სეზონის საქმე.

— როგორც იცით მომავალ სეზონისათვის დასის შედგენა კარგა ხანია მინდობილი მქონდა მე და ესეც არის დავასრულე. დასი შესდგება 27 კაც საგან. აქედან 13 ქალია, ხოლო 14 ვაჟი. ეს რიცხვი რასაკვირველია ძალიან მცირეა მომავალში განზრახულ დიდ მუშაობისათვის, მაგრამ ამ 27 კაცით მე მინდა წინასწარი მუშაობა ვაწარმოვო ამ ზაფხულ და სეზონის გახსნისას—კი დასი შევსებულ იქნება საჭიროებისადაგვარად.

დასის შემადგენლობა გამოცხადებულ იქნება მიმდინარე სეზონის დახურვის მეორე დღესვე—ივნისის 4-ს

რეპერტუარი.

— რეპერტუარის გადასახალისებლად მიღებულია ყოველგვარი ზომები. განსაკუთრებით ჩვენს დრამატურგებს დიდი ყურადღება ექნება მიქცეული. სხვათა შორის ქართველ დრამატურგებიდან რეპერტუარში შევლენ: ერისთავი, ცაგარელი, სუნდუკიანცი, კლდიაშვილი.

ახალი პიესები **რობაქიძის, გამსახურდიას, ნახუცრიშვილის, ქუთათელაძის** და სხვ.

რამდენი წარმოდგენა უნდა იყოს კვირაში

— კვირაში განზრახულია და სასურველიც მოეწყოს ექვსი წარმოდგენა. ე. ი. რუსთაველის თეატრში უნდა იმართებოდეს მხოლოდ ქართული წარმოდგენები, მაგრამ ეს საკითხი ჯერ განხილვის პროცესშია და ყოველ შემთხვევაში ქართულ დასს, როგორც დღემდე მოუხდება ოთხი წარმოდგენის მოწყობა კვირაში.

შაბათები მუშებისაა.

— განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული შაბათების წარმოდგენებს მუშებისათვის. შეძლებისადაგვარად ამ დღეებს შევურჩევთ შესაფერ რეპერტუარს.

წინასწარი მუშაობის დაწყება.

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ ზაფხულს წინასწარი მუშაობა უსათუოდ უნდა იქნეს წარმოებული, უამისოდ არავითარ ნაყოფიერ შედეგებს არ უნდა მოველოდეთ. ამ მხრივ უკვე თავდარიგია დაჭერილი დასის ქალაქ გარედ გასამგზავრებლად. მართალია, ეს—საგარაკოთ წასვლა მთელი დასისა, საგრძნობ ხარჯს გამოიწვევს, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, რომ საქმის ინტერესისათვის ეს წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, ვინაიდან ამ საქმის თვის წინასწარი შემზადება სრულიად უზრუნველ ყოფს მომავალ სეზონის ინტერესს და სიკარგეს.

ქართველი მსახიობი.

— მე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი მსახიობის შნო და უნარი, მისი გაბედული შრომის მოყვარეობა და ინტერესი საქმისადმი, სრულიად საკმარისად მიმაჩნია, რომ სინდისიერად გავუძღვე ქართულ თეატრის წინსვლისა და აღორძინების საქმეს.

რეჟისორები.

— უახლოეს თანამშრომლად მე მინდა გვერდში მედგეს ახალგაზრდა რეჟისორი ახმეტელი.

გარდა ამისა ამ ჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებ სხვა რეჟისორებთანაც.

—

სამშაბათი 29 მაისი. მსახიობ ქალის ან. აბელიშვილის ბენეფისი. „ელექტრა“ ტრაგედია ჰოფმანსტალის, თარგმანი შალვა დადიანისა.

ქართული აკადემიური დრამის უკანასკნელი წარმოდგენები მსახიობებს აქვთ დათმობილი თავისი არტისტიული დღესასწაულის გადასახდელად; თითქმის ყველა მსახიობს შეხვდა საბენეფისო წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, მიუძღვის თუ არა მას ამისათვის რაიმე დამსახურება. ანტონინა აბელიშვილისამაც გამართა საბენეფისო წარმოდგენა, თუმცა გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ, და შეიძლება ბევრი კიდევ სხვაც, ამ მსახიობს ვერ ვიცნობთ. მიმდინარე სეზონში, თუ არ ვცდებით, ის ერთხელ თუ ორჯერ გამოვიდა და ამიტომ მისი ბენეფისი გაკვირვებასთან ერთად სიხარულსაც იწვევდა იმის გამო, რომ საბენეფისო წარმოდგენაში ჩვენ შევეძლო დაგვენახა მსახიობის ნიჭი და შესაფერი დაფასება მიგვეცა მისთვის.

თავის საბენეფისოდ მსახიობს აურჩევია ჰოფმანსტალის პიესა „ელექტრა“, რომელიც სპეციალურად მისთვის იქნა თარგმნილი. ჩვენთვის გაუგებარია თუ რა მოსაზრებით ირჩევდა მსახიობი ამ პიესას თავის საბენეფისოდ. პიესა მოკლებულია ყოველგვარ სცენიურ ეფექტებს, მასში არ არის მოქმედების განვითარება და ის ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მაყურებელზე. ტყუილა გგონია მსახიობს, რომ ელექტრას როლი იძლეოდეს აქ რაიმე ღირსშესანიშნავს: როგორც მთელი პიესა, ისე ელექტრას, რომელიც მკრთალია და ის ვერ აძლევს მსახიობის ნიჭს გასაქანს.

პიესა შეიცავს სულ ორ მოქმედებას და მოკლებულია დრამატიულ ნაწარმოებისათვის საჭირო ყოველგვარ ტეხნიკურ და დრამატიულ მხარეებს. პიესა ისე დაიწყო და გათავდა, რომ მე დარწმუნებული ვარ, ბევრმა ვერც კი გაიგო მისი შინაარსი.

ძალიან სამწუხაროა, რომ უკანასკნელი წარმოდგენები რუსთაველის თეატრში თითქმის ურეჟისოროთ მიდის. მსახიობები ისე გაიტაცა ბენეფისებმა, რომ სრულიად მოუმზადებელი პიესები გამოაქვთ საზოგადოებისათვის დასანახავად.

უმრავლეს შემთხვევაში მსახიობებმა არ იციან როლები და პიესების ტეხნიკურ მხარესაც არ ემჩნევა რეჟისორის მზრუნველი ხელი.

საანგარიშო წარმოდგენა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. არც მისი გათამაშება და არც დადგმა ესტეტიურ გრძნობას ვერ აღუძრავდა მაყურებელს. ზოგიერთმა მსახიობებმა არ იცოდენ როლები და პიესა მეტად ზანტად მიმდინარეობდა, უმთავრესი ბრალი აქ უფრო პიესის არჩევანს ედება, ვიდრე მსახიობებს. რაც შეეხება თვით მობენეფისე ანტ. აბელიშვილის ქალს, ჩვენ გულახდილად უნდა აღვიაროთ, რომ მისმა თამაშმა ჩვენ სრულებით ვერ დაგვაკმაყოფილა. მსახიობის არც მიმიკა, არც ჟესტიკულიაცია და არც ხმა თავის ადგილზე არ იყო. მსახიობს არ ჰქონდა განცდა, არ იყო როლის შეგნება და მის მიერ მოცემული სურათი მეტად ცივი გამოვიდა. დრამატიულ ადგილებში, სადაც გრძნობაა საჭირო, მსახიობი შესაფერად ვერ ხმარობდა ხმას და ამიტომ მისი თამაში ვერ სტოვებდა შესაფერ შთაბეჭდილებას. ელექტრას განსახიერებისათვის კი, როგორც შეურაცხყოფილ და აბუჩად აგდებულ ქალის სულიერი მდგომარეობის გადმოცემისათვის, საჭიროა მეტი გრძნობა და ტემპერამენტი. უფრო მეტს მოიგებდა მსახიობი, რომ თავისი ბენეფისისათვის უფრო მარტივი და ეფექტიური პიესა აერჩია. ამით საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩებოდა და მისი ნიჭიც უფრო მეტ გამოსავალს იპოვიდა.

დანარჩენ ამსრულებელთაგან მე აღვნიშნავ თამარა ჭავჭავაძეს, რომელმაც ბევრი თბილი გრძნობა ჩააქსოვა თავის როლში. საზოგადოება წარმოდგენას ცოტა დაესწრო.

შ. ხპ—ლი.

—

— **„სურამის ციხე“ სცენაზე** რუსთაველის თეატრში 9 ივნისს, პირველად წარმოდგენილი იქნება დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ვალერიან გუნიას მიერ გადმოკეთებული.

— **მუშების წარმოდგენების შეწყვეტა.** ოპერის და დრამის თეატრებში, სეზონის დახურვის გამო, მუშებისათვის წარმოდგენები შეწყდება 2 ივნისს.

— **წარმოდგენა „წითელი ჯვარის“ სასარგებლოთ.** დღეს რუსთაველის თეატრში საქართველოს წითელი ჯვრის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება ალ. წუწუნავას რეჟისორობით ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“?

— **დახმარება ოპერის თეატრის მუშებს.** სახ. ოპერის თეატრის 15 მუშას, რომლებიც აღნიშნულ თეატრში მუშაობენ 28—50 წელიწადი სახ. კომისართა საბჭომ დახმარების სახით გადასცა ნახევარი მილიარდი. დახმარება მისცა აგრეთვე საქ. პროფკავშირთა საბჭომ.

— **სახალხო სახლის მუშებს სასარგებლოდ.** ხვალ, 2 ივნისს, სახალხო სახლში, ამავე სახლის მუშების სასარგებლოდ გაიმართება საღამო-კონცერტი-ცნობილი ხალხური სიმღერების მცოდნე და მომღერალ მ. თარხნიშვილის ლოტბარობით.

პროვინციაში

სამტრედია.

ქუთაისიდან ჩამოსულმა სახელმწ. თეატრის დასმა მრავალი საზოგადოება მიიზიდა, მით უმეტეს „სურამის ციხემ“ დრამათ.

დასმა დადგა „სურამის ციხე“, დრამათ გადაკეთებული ხეთელის მიერ, ვ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით. უნდა აღვნიშნოთ, რომ „სურამის ციხის“ დრამათ გადაკეთება იწყება უთუოდ იმ შთაბეჭდილების შემდეგ. რომელიც გამოიწვია მან ეკრანზე, მაგრამ წახალისებული დრამატურგები ერთ რამეს არ ღებულობენ მხედველობაში: „სურამის ციხე“—როგორც სანახაობა და მასიური განცდის ასახვა ეკრანზე, დასძლევს ყოველთვის დრამას. ხეთელი იჩენს დიდ სისუსტეს სურამის ციხის დრამათ გადაკეთებაში. მონოლოგები და დიალოგები ავსებენ დრამას იქ, სადაც საჭიროა მასიური სცენები, მასიური განცდა. ხეთელი სრულიად გამოუცდელი ყოფილა; მან ვერ მოგვცა ვერც ერთი მასიური სანახაობა. სურამის ციხეში თვით დრამის კოლოზია ხეთელის მიერ ვერაა სწორად დამუშავებული. მაგრამ აქ უნდა ცდილიყო თვით რეჟისორი პიესისთვის მიეცა რაიმე გარეგნული ეფექტი. სამწუხაროდ, დადგმის ტეხნიკაც ძალიან ცუდი იყო. რეჟისორმა ვერ ისარგებლა იმ დეკორაციით, რაც რკინის გზის კლუბში მოიპოვებოდა. პიესა თავიდან ბოლომდე უსიცოცხლოთ მიდიოდა.

რა არის ბოლოს და ბოლოს ეს? ხელოვნება თუ სპეკულიაცია ხელოვნებით? ვინ არიან ეს ვაჟბატონები, რომლებიც ხელოვნების და მსახიობების სტაჟს ატარებენ და ნამდვილათ სამასხაროთ იგდებენ ხელოვნებასაც და საზოგადოებასაც. გამოაქვთ დიდი რეკლამა ქუჩებზე, მიდიხარ თეატრში და იქ კი ხვდები ისეთ უმსგავსობას, როგორსაც ადგილი ჰქონდა 25 მაისს რკ. გზის კლუბში. ვურჩევთ ამ ხალხს მეტი ანგარიში გაუწიონ საზოგადოებასაც და თავის თავსაც, რადგან დღეს ასეთი ბანალობით ისინი ვერავის მოატყუებენ.

ლ. ახათიანი.

ჩოხატაური.

კვირას, 20 მაისს ჩოხატაურში მოწვეულ იქნა მიტინგი, რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო. მომხსენებლათ გამოვიდა გურიის კომიტეტის ჩოხატაურის რაიონის ინსტრუქტორი ამხ. ა. ზაქარეიშვილი, რომელმაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ლოზანაში ამხ. ვოროვსკის მოკვლის და ინგლისის მთავრობის მემორანდუმის შესახებ; აგრეთვე დაახასიათა საბჭოთა მთავრობის მიცემული პასუხი კერზონის მემორანდუმზე, აღნიშნა მუშათა კლასის გამოსვლა კერზონის ულტიმატუმის გამო, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში, აგრეთვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. მოხსენებას ხალხი გულმოდგინეთ ისმენდა. მიტინგმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვოროვსკის მოკვლისა და ინგლისის მემორანდუმის შესახებ, სასტიკ პროტესტს უცხადებთ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას, რომელმაც ვერაგულად მოკლა მუშურ სახელმწიფოს წარმომადგენელი და ხალხის ინტერესების დამცველი ამხ. ვოროვსკი, და რომელსაც სურს ომი მოახვიოს საბჭოთა ქვეყნების მშრომელთ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამის და ყველასთან გვინდა მშვიდობიანი ცხოვრება, მაგრამ თუ ანტანტის მთავრობები მოინდომებენ ჩვენგან რევოლიუციის მონაპოვარის წართმევა, და საბჭოთა რესპუბლიკების მიწა წყალზე შემოადგამენ ფეხს, ჩვენ მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ავდგებით და ვიბრძოლებთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე.

ძირს კაცი ჭამია კაპიტალისტების მთავრობა.

ძირს ყველა ქვეყნის კონტრ-რევოლიუციონერები.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველს საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მუშათა ერთიან ფრონტს.

სეფე ცინცაძე.

ზემო-რაჭა.

უბედურ კაცს ქვა ხმართში მოუწიაო, ამბობს ქართული ანდაზა, სწორედ ეს ანდაზა არის გამოჭრილი რაჭველებზე. ყველამ კარგათ იცის რომ რაჭაში ადგილის სივიწროვეა, რაც არის ისიც მწირი ადგილია, რის გამო მოუსავლელობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. რაჭველ გლეხს სად არ შეხვდებით დღიური ლუკმა-პურის საძებნელათ.

ადგილები დაიმეწყრა, წყდება ერთბაშათ მთაგორიანი ადგილები და მიდის ძირს. ასეთ შემთხვევები იყო მაგალითად: რუსპირში, სევაში, ხურუთში და სხვ.

არც ბუნება უწყობს ხელს რაჭველ გლეხობას.

22 მაისს ფარახეთის და ბაჰხვას თემში მოვიდა საშინელი სეტყვა, რომელმაც გაანადგურა ნახნავ-ნათესები, იყო წვრილფეხა საქონლის მსხვერპლიც. სოფ. წოლაში გლეხ გრიგოლ კერესელიძეს მოსტაცა ნიაღვარმა საქონელი და დაახრჩო, ფარიართის თემის აღმასკომის თავმჯდომარე კერვალიშვილმა ძლივს გადაარჩინა სიკვდილ-დახრჩობიდან ცოლ ქმარი. ზარალი დიდია.

ჯერ კიდევ შარშანდელ წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალისგან ვერ განთავისუფლებულა რაჭველი გლეხობა და ახალი დაატყდა თავს.

სოფ. პიპილეთთან მდ. ჯეჭორზე მოიტაცა ხიდი. ამ ხიდით სარგებლობენ ორი თემის საზოგადოება.

რადგან თემი მეტად ღარიბია საკუთარი საშუალებით არ შეუძლიათ ხიდის აგება, ხიდის ნაცვლად მდინარეზე გადებულია ეგრეთ წოდებული „წკიპურტი“, რომლითაც ბევრი ვერ სარგებლობს და არის უბედური შემთხვევის მაგალითები. ამას წინად ამ „წკიპურტით“ გამოდიოდენ მეორე მხარეზე ორი ქალი. ერთმა მათგანმა თავი ველარ შეიკავა, გადავარდა წყალში და მეორე ქალიც თან გადიყოლია. ერთი ქალი დაიხრჩო, მეორე ცოცხალმკვდარი ძლივს გადაარჩინეს ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს გლეხობის ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას, მაგრამ უსაღსრობა ხელს უშლის.

ა. გ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

[illegible] ბიბლიოთეკა

დადგენილება № 52.
ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსი.
1923 წ. მაისის 17.

საბიუჯეტო ინდექსის ღირებულების აღნუსხვის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულ—1923 წ. მაისის 15-დან გამოაქვეყნონ ქვემოდ აღნიშნული წესით, ადგილობრივი საბაზრო ფასები იმ პროდუქტისა და საგნებისა, რაც ნაჩვენებია განსაკუთრებულ ნუსხაში, რომელსაც აქვეყნებს ხოლმე ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი.

2. საბიუჯეტო ინდექსის ღირებულება ადგილობრივ ფასებზე დაწესებულ უნდა იქნეს თვითეული თვის 1, 8, 15 და 22 რიცხვისათვის სპეციალური კომისიების მიერ, რომლებიც დაარსდებიან ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებთან ხუთი წევრისაგან და რომლებშიაც შედის თითო წარმომადგენელი: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ამი[illegible] სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი, პროფესიონალური კავშირის საბჭოსი და ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა. კომისიაში თავმჯდომარეობს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელი ან მისი მაგიერი პირი.

შენიშვნა: აღნიშნული კომისიების შემადგენლობაში შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და პროფესიონალურ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით.

3. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისროს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.
ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ი. პოლისი.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გ. სარუხანოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **2 ივნისს, საღამოს 5 საათზე** პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში დანიშნულია **საერთო-საქალაქო სადელეგატო კრება,** ქალთა განყოფილების ორგანიზატორებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა. 2) ამხ. **სამოილოვას** სიკვდილის წლის თავი. 3) სადელეგატო კრებების შესახებ. 4) „დედის და ბავშვის“ კვირეულის გატარების შესახებ.

სასურველია დელეგატ ქალებს და ქალთა განყოფილების ორგანიზატორებს გარდა დაესწრონ ის ამხანაგები, რომელთაც სურთ პატივი სცენ ამხ. სამოილოვის სხოვნას.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის მოადგილე
ს. თალაკვაძე

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს, რომ 4 ივნისს, კავშირის ერთიან დღეს, განხილულ იქნება საკითხი რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობისა, და აგრეთვე დამუშავდეს ცირკულიარი № 80, რომლითაც მყარდება ტფილისის ორგანიზაციის უჯრედების შეფობა შინამრეწველობის წარმოებებზე.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ტფილისის კომიტეტის მდივანი:
ლომიძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ა. წ. 1 ივნისისათვის დღის 1 საათზე იწვევს რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეების თათბირს.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ორშაბათს 4 ივნისს, დღის 1 საათზე იწვევს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის თათბირს.

დღის წესრიგი:

1. საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების ანგარიში, 2. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ანგარიში, 3. მიმდინარე საქმეები.

მოწვეული არიან: საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქალთა განყოფილების და თბილისის პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს წარმომადგენლები და რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი.

— ხელმეორეთ აძლევს წინადადებას თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ყველა მასწავლებლებს, დოცენტებს და პროფესორებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრები ან კანდიდატები არიან, პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საადრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილებაში რეგისტრაციაში გასატარებლად.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგ. რუბენი:
საადრ.-სტატ. განყოფ. გამგე ვულფოვიჩი.

— ქართულ დივიზიასთან არსებულ პარტ-კომისია სთხოვს ყველა სამაზრო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებს, რათა სასწრაფოთ გვაცნობონ თუ იმყოფებიან ქვე ჩამოთვლილი პარტ-ამხანაგები მათ რაიონებში: კარაიძე ეფიმ გიტოს ძე, ბერია გერასიმე დიმიტრის ძე, ხიჯაკაძე აპოლონ კირილეს ძე, არუცოვი ლევან გეორგის ძე, ქვრივიშვილი ლევან სიმონის ძე, აბულაშვილი მიხეილ დავითის ძე, ჩანჩაშვილი გრიგოლი მიხეილის ძე, მაჩაძე ვარდენ გრიგორის ძე. ცნობები უნდა იქმნას რაც შეიძლება დაჩქარებით გადმოგზავნილი. ქარ. დივიზიის პოლიტ-განყოფილებაში რუსთაველის ქ. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობაში).

მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 27 მაისიდან 3 ივლისამდე)

— შაბათს, 2 ივნისს, დღის 8-დან 10 საათამდე. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიასთან არსებული წრე, ხელმძღ. ამხ. ლიბანი.

— საგანგებო დანიშნულების ნაწილების და „მზვერავების“ წრეებში, ხელმძღვანელების გამგზავრების გამო, მეცადინეობა დროებით შეწყდა.

პროფესიონალური.

განათლების მუშაკთა სახლში.

პარასკევს 1 აპრილს საღამოს 7 საათზე შესდგება ტეხნიკუმების მასწავლებელთა კრება: 1) დროებით ბიუროს ინფორმაცია. 2) ორგანიზაციული საკითხები.

სახლის გამგე შიუკაშვილი-კალიუჟნაია.

განცხადებები

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან
(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43.

ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.250.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	800.000
ერთი ეგზემპლიარი	50.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 3—2

Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.
(бывший Газтрест), просп. Руставели № 26.
доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все
Московские и Петроградские газеты и журналы
с доставкой на дом. Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно от газетчиков г. Тифлиса. 3—2

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის და ლაბორატორიით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—14)

დავკარგე სახლის წიგნი არდაგნის შესახვევში მდებარე თარიძეს სახლისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული პირველი კომისარიატისგან ოლღა ლელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 792 1—1

დავკარგე საბინაო დავთარი 5-ფერმა—ველაბარი სახლი № 30 სახლი მარიამ ქარელის. ჩაითვალოს გაუქმებულად.

[illegible]